# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან კვირა, 5 ივლისი 1998 №111 (646) ფასი 50 თეთრი


# ჰოლანდია — არგენტინა 2:1

# გერმანია — ხორვატია 0:3

REUTERS ფოტოდან



გერმანელთა განადგურება დავორ შუკერის გოლით დასრულდა, მან კი თავისი ქვეყნის დროშა ამაყად ააფრიალა

— ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო. გერმანია ფინალამდე მიმსვლელი არ იყო. თუმცა, გუშინ გერმანელებს თამაში ცუდად არ დაუწყიათ, ეტყობოდათ მოედანზე მობილიზებულნი გამოვიდნენ, თანაც აშკარა გახლდათ, მეტად უხეშობდნენ. მსაჯმა თავიდან იცადა, იფიქრა გონს მოვლენო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ვიორნსმა გერმანია ჩემპიონატს გამოთიშა. გერმანელებს მატჩი თერთმეტი კაცით რომ გაეგრძელებინათ, დარწმუნებული ვარ, ხორვატებს უეჭველად გაამწარებდნენ. სანამ მოედანზე ფეხბურთელთა თანაფარდობა იყო, სლავებს ძალიან უჭირდათ. პირველ ტაიმში თუ არა, შესვენების შემდეგ ხორვატები ალბათ დანებდებოდნენ. მათი გოლი კი, სწორედაც რომ

## ნახევარფინალი

7 ივლისი, სამშაბათი

**ბრაზილია — ჰოლანდია**

მარსელი. 23[00]

8 ივლისი, ოთხშაბათი

**საფრანგეთი — ხორვატია**

სენ დენი. 23[00]

**ექსპერტის კომენტარი** *ვლადიმერ პაპიძე*

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*

## ...სენსაცია არ ყოფილა



დროული იყო, სულზე მიუსწროთ. მეორე ტაიმში ზუსტად ის თამაში წავიდა, როგორიც მოსალოდნელი გახლდათ.

გერმანელმა მცველებმა ერთმანეთზე უარესი შეცდომები დაუშვეს და სამშობლოში სირცხვილნაჭამები გაბრუნდნენ.

არა, გერმანია — ხორვატიის შედეგი სენსაციურად არ მიმაჩნია. ხორვატია, ყოველთვის ვამბობდი, კარგი გუნდია-მეთქი, მათ დიდ პროგრესს მიაღწიეს. ბლაჟევიჩმა, ეტყობა, მართლაც იცოდა, ფოგტსის წამალი.

ჰოლანდიელთა გამარჯვებაც ლოგიკურად მიმაჩნია. მაგრამ მათი მოგება უფრო არგენტინელთა დამსახურებაა. რა უნდოდა იმ ორტეგას, რას ერჩოდა ვან დერ საარს? კარგი, პენალტზე იმსახიობა, ყვითელიც ძალად დასტყუა მსაჯს, მეკარესგან რაღა უნდოდა? ყოფილიყო წყნარად, რიცხვობრივ უპირატესობაში იყვნენ და მატჩის დამთავრებამდეც წუთები იყო დარჩენილი. ეთამაშათ არგენტინელებს კიდევ ერთი დამატებითი დრო, რა უჭირდათ. ამ მატჩსაც გამარჯვებამდე მიიყვანდნენ. ნუმანის გაძევების შემდეგ, მეგონა, არგენტინა ჰოლანდიელთა კარს ამოავსებდა, თანაც პასარელამ გონივრული ტაქტიკით ათამაშებდა ბიჭებს. უპირატესობა შეგნებულად დაუთმეს მეტოქეს და კონტრშეტევებზე ცდილობდნენ მათ გამოჭერას. ვიორნსის არ იყოს, ორტეგამ არგენტინელები დაღუპა. ძალიან ცუდად მოიქცა, ისე, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოთამაშე ფეხბურთელს არ შეშვენის. ისწავლოს კლინსმანისგან, რომელიც ზედმეტს არასდროს აკეთებს.

ფინალისტები თითქმის უკვე ცნობილია. როგორც ვამბობდი, საფრანგეთი ერთ-ერთი ნაღდი იქნება, აი მეორე კი, ალბათ, ბრაზილიაა, რომელიც ფინალში ფრანგებთან მაინც წააგებს. ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია და იქნებ სხვაგვარადაც მოხდეს.

## ბრაზილია აკანკალდა?

ამბობენ, ჟურნალისტები სენსაციების მოყვარული ხალხია, ზოგჯერ ობიექტურობის გრძნობასაც კარგავენო.

ჩემპიონატის მთავარ პრესცენტრში შეკრებილი სამასზე მეტი ჟურნალისტი მოწონების ყიჟინით შეხვდა დანიელთა გოლს; ბრაზილიელების ორივე გოლზე კი დარბაზი გაიტრუნა: მხოლოდ სამი თუ ოთხი სამხრეთამერიკელი თუ შეხტებოდა ხოლმე სიხარულით. დანიელების მეორე გოლს ვაი-უშველებელი მოჰყვა, გეგონებოდათ, ახალი საჩემპიონო გუნდი მოევლინა ქვეყნიერებას დანიის ნაკრების სახითო.

თავად განსაჯეთ — ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ბრაზილიელების შედარებაც კი არ შეიძლება დანიელებთან. სპეციალისტებიც და ჟურნალისტებიც პირველს განიხილავდნენ საჩემპიონო გუნდად, მეორეს კი მეოთხედფინალამდე მისვლასაც არ უწინასწარმეტყველებდნენ.

**ემზარ ზენაიშვილი**

„სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტი პარიზიდან



მაშ რატომ იყო ასე მოჭარბებულად სიმპათიები დანიელთა მხარეს? სუსტისა და განწირულისადმი თანაგრძნობას დავაბრალოთ თუ ისევ და ისევ სენსაციის ტრფობა?

ერთ კია, ბრაზილიას საჩემპიონო გუნდის თამაში ამ მატჩში არ უჩვენებია; იქნებ დანიელებმა არ აჩვენებინეს? მახსენდება, ამ ორი დღის წინ უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა ჩემს შეკითხვაზე, დანია თუ ბრაზილია-მეთქი, დინჯად შემომხედა, ოდნავ შეყოვნდა და მიპასუხა: ბრაზილია, ბრაზილია, მაგრამ დანიელები დისციპლინიან, მოწესრიგებულ ფეხბურთს თამაშობენ, მათ ფეხის გარდა თავიც გააჩნიათო და ხელი თავთან მიიტანა.

იხილეთ მეექვსე გვერდი

# საკითხს სხვაგვარად შევხედოთ

მატჩი №60. 4 ივლისი. ლიონი. სტად ჟერლანი. 39 100 მაყურებელი

## გერმანია 0:3 ხორვატია

0:1 იარნი (45); 0:2 ვლაოვიჩი (80); 0:3 შუკერი (85)



ბებერი მათეუსი ცდილობდა, ტოლი არ დაედო შუკერისთვის (№9)

**ამბობდა** ხორვატთა მწვრთნელი, მიროსლავ ბლაჟევიჩი, ვიცი გერმანელების წამალიო, მაგრამ ყველა ბაქიაობად უთვლიდა. თურმე, მართლა სცოდნია.

ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, გერმანელებს ნუ დავიტირებთ. ქვეყანას, რომლის ნაკრებსაც თექვსმეტი ჩემპიონატიდან სამჯერ ოქროს თასი ეპყრა ხელთ, სამჯერ ფინალშიღა დაუცდა ფეხი, ნახევარ და მეოთხედფინალთა ჩამოთვლას კი აზრი არა აქვს, დასატირებელი არაფერი სჭირს. უბრალოდ, მოხდა ის, რაც ნებისმიერ გუნდს ადრე თუ გვიან, უფრო სწორედ კი შიგადაშიგ მოსდის — მეტად უსიამოვნო მარცხი განიცადა.

ცნობისთვის: სამბურთიანი სხვაობით გერმანიის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს პირველობათა ფინალურ ეტაპზე 1952 წლის მერე არ წაუგია. მაშინ მან მესამე ადგილისთვის ბრძოლაში იწვნია 3:6 საფრანგეთის ნაკრებისგან. კიდევ სტატისტიკა გვეუბნება, რომ გერმანიამ 1986 წლის 29 ოქტომბერს ვენაში ავსტრიამ აჯობა 4:1. ეს იყო ამხანაგური შეხვედრა, რომელშიც გერმანელთა ერთადერთი გოლი რუდი ფიოლერმა გაიტანა.

თქვენი ნებართვით, წუხანდელ თამაშს სხვა კუთხით შევხედავთ. ვინ, თუ რა არის ხორვატია, რომელმაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს სამი უპასუხო გოლი გაუტანა? ესაა მცირე ერი, რომელიც 1990-იან წლებამდე სხვა ქვეყანას ჰყავდა დაპყრობილი. ნაცნობია რამე? კიდევ უფრო დავაზუსტოთ, ესაა ის მცირე ერი, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ დიდები მაინც და მაინც არ იცნობდნენ, საფეხბურთო ამბიცია ჰქონდა. არა, მართლა რაღაც უნდა მოგაგონდეს კაცს. განვაგრძოთ. ხორვატია ის ქვეყანაა, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ეთნოომებში გახლდათ გახვეული...

მოკლედ, ხორვატია მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტია, ამიტომაც ქება და დიდება მას. მობურთალსა მოედნაიო, ამბობდა შოთა რუსთაველი, სახარებაში კი წერია — საქმემან შენმან გამოგაჩინოსო.

თუმცა, თემას ნუ გადავუხვევთ, ჩვენი დღევანდელი ამოცანა წუხელ ლიონში გამართულ შეხვედრაზე საუბარია. სხვა სათქმელი კი სხვა დროს და პირდაპირ ვთქვათ.

წუხელ ლიონში ხორვატ გულშემატკივრებს ტრიბუნაზე პლაკატები ჰქონდათ გამოფენილი. ერთზე ეწერა „ნახევარფინალი, ხორვატია — საფრანგეთი 1:0", მეორეზე კი „ფინალი, ხორვატია — ბრაზილია 1:0", ყველაფერი ნათელია. ამას დაამატეთ ბლაჟევიჩის მრავალჯერ განცხადებული, ხორვატიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძვისო და მოდი, ნუ ირწმუნებ.

რაც შეეხება ბლაჟევიჩისეულ გერმანელთა საწინააღმდეგო წამალს, გავბედავთ და ჩვენს მოსაზრებას ვიტყვით. გერმანიის ნაკრების უმთავრესი ძალა სათამაშო დისციპლინა, მიზანმიმართულობა, ფიზიკური მომზადება და ფეხბურთელთა უმაღლესი პროფესიონალიზმი გახლდათ. ხორვატია თავის მხრივ ის გუნდი არ არის, მეტოქის თვისებები არად რომ ჩააგდოს და მას თავისი ფეხბურთი მოახვიოს თავს. შესაბამისად, ხორვატებს მეტოქის თამაშის ჩაშლისა და არევის ოპტიმალური ვარიანტი უნდა მოეფიქრებინათ. ამიტომაც მათ გერმანულ მანქანას სწრაფი, უშეღავათო, ორთაბრძოლებით აღსავსე ფეხბურთი დაუპირისპირეს. ბლაჟევიჩს, როგორც ჩანს, გათვლილი ჰქონდა მოწინააღმდეგის ტიპიური კომბინაციები და თავისი მოთამაშეები მათ გასაბათილებლად ჰყავდა დაგეშილი.

ასეთი ანგარიშით გასულმა ხორვატებმა შეხვედრას ერთობ თავისებური სახე მისცეს. ირონიად ნუ ჩამოგვართმევთ და პირველი ტაიმის განმავლობაში ბურთი აქეთ-იქით, ზეითქვეით ხტოდა, ფეხბურთელები კი ერთმანეთს ეჯახებოდნენ. თითქოს ბლაჟევიჩის ბიჭები ფოგთსისას ეუბნებოდნენ, თქვენს კომბინაციებს მაინც არ ჩაგატარებინებთ და თუ ბიჭები ხართ, ბურთის გაგორებით გვაჯობეთო.

ბურთის ფეხზე მიწებებას გერმანელები, ცხადია, არც ცდილობდნენ. ისინი მთელი სიმძლავრის ჩართვასა და ხორვატთა წელში გადატეხვას ლამობდნენ, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს ნორვეგიელმა მსაჯმა პედერსენმა დავორ შუკერის წაქცევისთვის მოედნიდან ვიორნსი გააძევა და ამით გერმანიას საქმე საგრძნობლად გაურთულა. გუნდი, რომელიც სიმძლავრის მომატებას აპირებდა, კაცნაკლული დარჩა.

სიმძლავრე სიმძლავრედ და ვიორნსის გაძევებით თითქოსდა ფავორიტებს თავდაცვითი ოპერაციების დროსაც მოაკლდათ კაცი, სწორედ ამით ისარგებლეს მცირე ერის შვილებმა. ჯერ კიდევ პირველი ნახევარი, მსაჯის წამატებული დრო მიდიოდა, რომ იარნიმ შეტევის მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ისარგებლა იმით, რომ შუა მოედანზე მეტოქე არ გადაელობა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ გერმანელებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა თუნდაც კაცნაკლულთ გაეტეხათ ხორვატთა ნაკრები, მაგრამ ისევ ორთაბრძოლებსა და შმაგ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

თამაში ილეოდა. ფოგთსის ფეხბურთელებს არც დახვეწილი სტანდარტული სიტუაციები უმართლებდა და მწვრთნელმაც ვა-ბანკი ირჩია, მოედანზე ჯერ მესამე ფორვარდი, კირსტენი შეიყვანა, მერე კი მეოთხე — მარშალი.

მართლაც, რა მნიშვნელობა ჰქონდა, 0:1-ს წააგებდა თუ 0:2-ს.

მაგრამ 0:3?

**ილია ბაბუნაშვილი**

### მატჩის შემდეგ

**იურგენ კოლერი**, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი: „მე თუ მკითხავთ, მსაჯმა ჩემი თანაგუნდელი შეცდომით გააგდო მოედნიდან. ცხადია, ჯარიმა იყო, მაგრამ ვიორნსის დანაშაული ბოლო იმედისა არ გახლდათ, დაზღვევაზე მე ვიდექი. ამ გაძევებამ საქმე გაგვიფუჭა. გარდა ამისა, ჩვენ რამდენიმე დიდებული შანსი ვერ გამოვიყენეთ, ამიტომაც სჯობს ყველაფერი საკუთარ თავს დავაბრალოთ. მონდომება კი ნამდვილად არ დაგვიკლია, თამაშში მთელი გული ჩავდეთ. ანგარიში, ვფიქრობ, უსამართლო იყო. და მაინც, შეხვედრა მსაჯმა გაგვიფუჭა. წინა დღეს რობერტო კარლოსის ჯარიმა რომ ვნახე ბრაზილიისა და დანიის შეხვედრაში, სიცილისგან კინაღამ ცუდად გავხდი."

**მიროსლავ ბლაჟევიჩი**, ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი: „ბედნიერი ვარ ამ ისტორიული შედეგით. ხორვატია ასე შორს არასდროს წასულა და ამდენი არასდროს მოუხერხებია. გერმანელებმა კვლავ გვაჩვენეს ხასიათი, თავდადება და საბრძოლო სულისკვეთება. ისიც მართალია, რომ ფეხბურთელის გაძევებამ მათ საქმე გაურთულა, მაგრამ ამის გამო არ მოგვიგია, ისედაც მოვიგებდით. ჩვენ უძნელესი თამაში გადავიტანეთ. თუმცა ის უკვე წარსულია და ახლა კარგი განწყობით ვემზადებით საფრანგეთთან ბრძოლისათვის. ბედნიერები ვართ, რომ „სტად დე ფრანსზე", ამ დიდებულ სტადიონზე, ფრანგებს გავეჯიბრებით. იმედი მაქვს, რომ იქაც დღევანდელივით ვითამაშებთ."

**დრაჟენ ლადიჩი**, ხორვატიის ნაკრების მეკარე: „ძალიან კარგად ვითამაშეთ და გამარჯვებასაც ვიმსახურებდით. გაძევებამ მართლაც შეასრულა დიდი როლი, მაგრამ ეს ჩვენს კარგ თამაშს ჩრდილს არ აყენებს. ვამაყობ ჩემი გუნდის ფორვარდებით. დღეს მსოფლიოში საუკეთესონი ვიყავით. თუმცა ამით არაფერი დამთავრებულა, ჩვენ მთელი გზა ტრიუმფით უნდა გავიაროთ."



ზვონიმირ ბობანისა და დიტმარ ჰამანის (№16) ორთაბრძოლის მსგავსი ამ თამაშში ბევრი იყო

**გერმანია**

1. კიოპკე

2. ვიორნსი 8. მათეუსი 4. კოლერი

3. ჰაინრიხი 16. ჰამანი 13. იერემისი 10. ჰესლერი 21. ტარნატი

18. კლინსმანი 20. ბირჰოფი

9. შუკერი 19. ვლაოვიჩი

10. ბობანი

17. იარნი 7. ასანოვიჩი 13. სტანიჩი

6. ბილიჩი 4. სტიმაჩი 20. სიმიჩი 14. სოლდო

1. ლადიჩი

**ხორვატია**

შეცვლა: ჰესლერი — 9. კირსტენი (69), ჰამანი — 11. მარშალი (79), ვლაოვიჩი — 11. მარიჩი (83)

გაძევება: ვიორნსი (40)
გაფრთხილება: ჰაინრიხი, ტარნატი, სიმიჩი, შუკერი

მთავარი მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

### მატჩის სტენოგრამა

10 წუთი. შუკერი მარცხნიდან უტევს. ბევრი არაფერი.
12. ტარნატის დაახლოებით 30 მეტრიდან დარტყმული ჯარიმა ლადიჩის კარს მცირედით ასცდა.
14. ჰესლერის იმავე მანძილიდან გაგზავნილი ბურთი კარს მცირედით გადასცდა.
19. ბობანის ჯარიმა გერმანელთა ცოცხალ კედელს მოხვდა.
23. ჰესლერის ჯარიმას დიტმარ ჰამანი აგრძელებს. უშედეგოდ.
31. ბირჰოფის თავურ დარტყმას ლადიჩი გაჭირვებით, მაგრამ მაინც იგერიებს.
33. შუკერის დარტყმულ ბურთს კიოპკე ელობება.
39. ასანოვიჩმა მცირედით ააცილა ჯარიმა.
41. კრისტიან ვიორნსი შუკერთან ორთაბრძოლისას უხეშობს და მოედნიდან აძევებენ.
45. იარნი საჯარიმოს მიახლოებულმა უძლიერესად დაარტყა და გოლიც გაიტანა. კიოპკე ვერაფერს გახდა.
49. ვლაოვიჩის დარტყმა გერმანელთა კარს გადასცდა.
54. ჰესლერის კუთხური ბირჰოფმა თავური დარტყმით გააგრძელა. ხორვატები დაიბნენ, თუმცა ვერც გერმანელებმა ილონეს რამე.
58. სტანიჩის პასის მერე შუკერმა ხელსაყრელი მომენტი გააფუჭა.
61. ტარნატის მარჯვნიდან ძლიერად დარტყმული ბურთი ლადიჩის კარს გადასცდა.
70. ვლაოვიჩის დარტყმა კიოპკეს კარს მცირედით ასცდა.
73. სოლდოს თავური დარტყმა კიოპკემ მოიგერია.
76. ბობანამა სახეირო მომენტი გააფუჭა.
78. ჰამანმა საჯარიმოს გარედან დარტყმული ჯარიმა ძელს გაარტყა.
79. კუთხურის შემდეგ ბირჰოფის თავური მცირედით ასცდა ხორვატთა კარს.
80. ვლაოვიჩმა თითქმის ისეთივე გოლი გაიტანა, როგორც რობერტ იარნიმ. გორანმა საგოლედ სახარიმოს გარედან უძლიერესად დაარტყა.
85. ხორვატები გერმანელებს კონტრშეტევაზე იჭირენ და მათ სჯიან — შუკერს თავისი გოლი გააქვს.

# ოცი წლის შემდეგ

მატჩი №59. 4 ივლისი. მარსელი. სტად ველოდრომი. 55 000 მაყურებელი

## ჰოლანდია 2:1 არგენტინა

1:0 კლუივერტი (12); 1:1 ლოპესი (18); 2:1 ბერჩკამპი (90)

განვლილი სეზონი დენის ბერხკამპისთვის ძალიან კარგი გამოდგა — იგი ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ორი ვერსიით. გარდა ამისა, ლონდონის „არსენალის" უპირველესმა თავდამსხმელმა პრემიერლიგა და ასოციაციის თასი მოიგო. ბერხკამპმა, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ გამოიყურება, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძლიერი თავდამსხმელია — შეხვედრის ბოლო წუთზე, მას შემდეგ, რაც ფრანკ დე ბურის უგრძესი და ამავდროულად ბრწყინვალე გადაცემა მიიღო, მეტად ლამაზად ჩამოიშორა მეურვე და მოჭრილი დარტყმით არგენტინელთა დამლახვრავი გოლი გაიტანა. მალე მსაჯმა უკანასკნელად ჩასტვინა და შეხვედრაც დასრულდა — ჰოლანდია მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში.

მე-18 წუთზე ჰოლანდიელები ცდილობენ თამაშგარე მდგომარეობის შექმნას, მაგრამ ცდებიან და ვან დერ სართან პირისპირ დარჩენილი კლაუდიო ლოპესი შანსს ხელიდან არ უშვებს. მეკარეს თავზას უბნევს და პატრიკ კლუივერტის ექვსი წუთით ადრე გატანილ გოლს აბათილებს. ეს ბურთი არგენტინელთათვის მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე შეგდებული, საიუბილეო მე-100 გოლი აღმოჩნდა. ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთადერთი, რასაც არგენტინელებმა მიაღწიეს, სწორედ გოლების დამრგვალებული რაოდენობაა. სხვა მხრივ დანიელ ალბერტო პასარელას ბიჭებს თავი არაფრით გამოუჩენიათ და შესაბამისად გამოეთიშნენ კიდეც ოქროს თასისთვის ბრძოლას.

ბერხკამპის და ლოპესის გოლებამდე დისკვალიფიკაციამოხდილმა პატრიკ კლუივერტმაც გაიტანა. ეს იყო ალბათ ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე განხორციელებული საუკეთესო კომბინაციური შეტევით გატანილი ბურთი — მოედნის ცენტრს გადაცილებულმა რონალდ დე ბურმა საჯარიმოსთან დენის ბერხკამპი შეამჩნია. მოგვიანებით ჰოლანდიელთა გამხარებელმა კი ვარდნაში, თავით ძალიან ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ კლუივერტს მიაწოდა ბურთი, ამ უკანასკნელს კი როას კარის დალაშქვრა და ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია.

სამი გოლი მეოთხედფინალისთვის ალბათ სავსებით საკმარისია, თუმცა მეტოქეთა უკანახაზელთა, განსაკუთრებით კი არგენტინის დაცვის გადამკიდე, მეტი ბურთი როგორ არ გავიდა, რბილად რომ ვთქვა, საკვირველია. ისეთი დაცვის მქონე გუნდი, როგორიც არგენტინაა, შორს ვერ წავიდოდა და აკი გამოვარდა კიდეც. ჰოლანდიელები აუღელვებლად დაჰქროდნენ მცველებს შორის, ხიფათსაც ხშირად ქმნიდნენ. სამხრეთამერიკელნი კი...

არგენტინელები დაისაჯნენ. ინგლისელებს ცოტა რამ გამართლებოდათ, სავსებით შესაძლებელი გახლდათ, პასარელას გუნდი ჩემპიონატს მერვედფინალიდან გამოთხოვებოდა, მაგრამ მაშინ ბედმა სამხრეთამერიკელებს გაუღიმათ. ორჯერ კი, მხოლოდ იღბალი ვერ გიხსნის. ახლაც ასე მოხდა — სწორედ მცველთა უყურადღებობას მოჰყვა კლუივერტის და მით უმეტეს, ბერხკამპის გოლები.

დიდი შრომა გაუწევია გუს ჰიდინკს, ნაკრებს ასეთი დონისთვის რომ მიუღწევია. ორი წლის წინაც, ინგლისში, ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიელებს გუს ჰიდინკი თავკაცობდა, მაგრამ მაშინდელი გუნდის ახლანდელთან შედარება უბრალოდ, არ შეიძლება. მაშინ ჰოლანდია ინდივიდუალისტთა თავყრილობას ჰგავდა. ყველა თავისთვის ირჯებოდა, ასეთი თამაშით კი რა შედეგსაც მიაღწიეს, კარგად გამოჩნდა. ახლა ჰოლანდია გუნდია. ერთსულოვნებაც იგრძნობა, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში, სადაც ჰიდინკს შერიგებული ედგარ დავიდსი ირჯება ბრწყინვალედ. „იუვენტუსის" ნახევარმცველი ჰოლანდიელთა სული და გულია. თითქმის შეუძლებელია, მისი წინაალმდეგობის დაძლევა, ხოლო თუ დავიდსს ნახევარდაცვის შუაგულში კლარენს ზეედორფიცაა შეწყვილებული, მაშინ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარდაცვის წყვილი იქმნება. მართალია, ამ შეხვედრაში ჰიდინკმა დავიდსის ეულად გამწესება ამჯობინა, მაგრამ ზეედორფის არყოფნა ევროპელთ სულაც არ დატყობიათ. მეტოქე, ცხადია, უტევდა, თუმცა არგენტინელები მოედნის შუაგულის გადალახვას ძირითადად ფლანგური გარღვევებით, ანაც გრძელი პასებით ცდილობდნენ.

საინტერესოა, რამ გააგიჟა „მანჩესტერ იუნაიტედი" და იაპ სტამში რა დაინახა ისეთი, 25 მილიონი დოლარის გადახდას რომ დაყაბულდა? სტამი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მცველია და მისი დარი ამ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტთა შორის საკმაოდ ბევრია. თუ ამ თამაშში მისი მოქმედებით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ „ეინდჰოვენის" თავკაცებს ინგლისელი, უფრო კონკრეტულად კი მანჩესტერელი კოლეგები გვარიანად გაუცრუებიათ. სტამი ნაღდად არაა ის ფეხბურთელი, მსოფლიოს უძვირფასესი მცველის სახელს ატარებდეს და მასში 25 მილიონი დოლარი გადაიხადო.

სამი გოლი კი გავიდა, მაგრამ საქმეში კარის ძელები რომ არ ჩარეულიყვნენ, სავსებით შესაძლებელი იყო, ერთი ამდენი კიდევ გასულიყო. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ბატისტუტას დარტყმის შემდეგ ძელს მოხვედრილი ბურთი — არგენტინელი თავდამსხმელის დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვან დერ სარის კარი კინაღამ დაიშალა. რაც შეეხება ბატისტუტას, მერვედფინალიც და მეოთხედფინალიც არგენტინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა სუსტად ჩაატარა, ერთადერთი გოლი შეაგდო, ისიც პენალტით. მთლიანობაში არგენტინელთაგან ხუან სებასტიან ვერონი გამოირჩეოდა. უდავოდ ძლიერი ფეხბურთელი. არიელ ორტეგაც ჩანდა, მაგრამ მატჩის მიწურულს მან ისეთი რამ იკადრა, ყველაფერი წყალში გადაყარა. ჯერ იყო და პენალტის სიმულაციას აზდენდა, მერე კი ერთი თავით მაღალ ვან დერ სარს, კრივის ტერმინოლოგიით რომ ვიხელმძღვანელოთ, აპერკოტი ამოსცხო, ოღონდ... თავით. ორტეგა გააგდეს კიდეც. მანამდე კი სიმეონესთან უხეშობის გამო არტურ ნუმანი მიაბრძანეს მინდვრიდან.

ერთი სიტყვით, ნახევარფინალში ჰოლანდია გავიდა და ახლა ბრაზილიას შეხვდება. ბოლოს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები და მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონები ერთმანეთს ამ ტურნირზე ოთხი წლის წინ, აშშ-ში დაუპირისპირდნენ. მაშინ გამარჯვება ბრაზილიელებს დარჩათ 3:2...

**ლაშა გოდუაძე**

REUTERS მარსელიდან



დისკვალიფიკაციამოხდილმა კლუივერტმა დაბრუნებისთანავე გოლი შეაგდო

| | | | |
|---|---|---|---|
| **ჰოლანდია** | | | |
| | 1. ვან დერ სარი | | |
| 2. რაიციგერი | 3. სტამი | 4. ფ. დე ბური | |
| 7. რ. დე ბური | 6. იონკი | 5. ნუმანი | |
| 16. დავიდსი | 11. კოკუ | | |
| 9. კლუივერტი | 8. ბერხკამპი | | |
| 9. ბატისტუტა | 10. ორტეგა | | |
| | 11. ვერონი | | |
| 5. ალმეიდა | 8. სიმეონე | 7. ლოპესი | |
| 2. აიალა | 3. შამოტი | 6. სენსინი | 22. ძანეტი |
| | 1. როა | | |
| **არგენტინა** | | | |

შეცვლა: **რ. დე ბური — 14. ოვერმარსი (64), ალმეიდა — 4. პინედა (67), შამოტი — 18. ბალბო (90)**

გაძევება: **არტურ ნუმანი (76), არიელ ორტეგა (88)**

გაფრთხილება: **შამოტი, სენსინი, სტამი, ნუმანი**

მთავარი მსაჯი: **არტურო ბრისიო კარტერი (მექსიკა)**

### მატჩის შემდეგ

**დენის ბერხკამპი**, ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი: თამაშის ბოლო წუთზე ჩემი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე. ეს დიდებული წამი იყო, ფრანკმა (დე ბური) საუცხოო პასი მომაწოდა, საერთოდ, დღევანდელ შეხვედრაში ყველაფერი იყო თავმოყრილი. ის მომენტი, როდესაც არბიტრმა მოედნიდან ორტეგა გაძევა, უდიდესი ენერგიის მომცემი გამოდგა. ჯამში გამარჯვება ჩვენ გვეკუთვნოდა, რადგან მეორე ტაიმში ჩინებულად ვითამაშეთ.

როდესაც ჰოლანდიელთა პირველ გოლზე ჰკითხეს, ბერხკამპმა უპასუხა: ესეც საუცხოო მომენტი გახლდათ.

ამ ჩემპიონატში სულ სხვადასხვანაირი თამაშების ჩატარება გვიწევს. მე დღეს დაცვაშიც მეტი ყურადღების გამოჩენა მევალებოდა. ძალიან განვიცდიდით, საქმე დამატებითი დროისკენ რომ მიდიოდა, რადგან ასეთ პაპანაქებაში ძალიან ვიღლებით ხოლმე. ახლა ბრაზილიასთან გველის ნახევარფინალური შეხვედრა. მოუთმენლად ველით მას. დრო ცოტა დაგვრჩა, დასვენებას ხეირიანად ვერ მოვასწრებთ, მაგრამ მაინც უნდა მოვახერხოთ სრულყოფილად მომზადება — დასძინა ბერხკამპმა.

**დანიელ პასარელა**, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი: ინგლისთან თამაშის კვალმა გვიწია. მაშინდელი დამატებითი დროის დაღლილობამ დღეს ძლიერ წამოჰყო თავი. დღეს, მატჩის მიწურულს უმცირესობაშიც დავრჩით. ჩვენ თავდამსხმელი გაგვიგდეს, არადა ახლაც არ ვიცი ზუსტად, იქნებ სულაც ჰოლანდიის კარში იყო პენალტი დასანიშნი. მეტოქემ ერთი გრძელი პასის წყალობით გაიტანა გადამწყვეტი გოლი, მე კი მეგონა, რომ ჩვენი უპირატესობა უკვე საბოლოო იყო და ადრე თუ გვიან გავიმარჯვებდით. ჩვენი მთავარი მიზანი ოთხეულში გასვლა გახლდათ, მაგრამ მას თურმე ასრულება არ ეწერა. რაც შეეხება ნახევარფინალებს, ვგონებ, ის რომ ბრაზილიამ და საფრანგეთმა მეოთხედფინალები ერთი დღით ადრე ითამაშეს, უდიდეს როლს შეასრულებს — მათ უპირატესობა ებოძათ.

REUTERS მარსელიდან



კოკუ (მარცხნივ), სენსინი და მავანი ჰოლანდიელის ფეხი

### მატჩის სტენოგრამა

5 წუთი. არგენტინა საჯარიმოში ერთიმეორის მიყოლებით კარისკენ ბერხკამპი, კლუივერტი და იონკი ურტყამდნენ, ამ უკანასკნელის ძლიერად გასროლილმა როას კარის ძელი შეაზანზარა.

12. რონალდ დე ბურმა საჯარიმოში ბერხკამპი მონახა, რომელმაც თავით მეკარესთან პირისპირ დატოვა კლუივერტი — 1:0.

18. ვერონმა ბრწყინვალე პასით ლოპესი ვან დერ სარს შეატოვა, რომელმაც მეკარე ცრუმოძრაობით დააჩოქა და ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა — 1:1.

20. ბატისტუტას შეეძლო იგივე გაეკეთებინა, მაგრამ ბურთის გადაცემის მომენტში ვერ ივარგა.

23. ლოპესმა ფლანგური გარღვევისას დაჩაგრა სტამი, საჯარიმოში ჩააწოდა, მაგრამ მისი გადაცემა ნუმანმა ჩაჭრა.

26. დავიდსმა მთელი მოედანი გადასერა, მაგრამ დარტყმისას სიზუსტე ვერ გამოიჩინა.

30. კლუივერტმა ერთი შეხებით მიაწოდა დავიდსს, რომელმაც მიწაზე დაუშვებლად გაისროლა. როამ ბურთი ფეხით მოიგერია.

34. ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ლოპესს სტამმა ბურთი ფეხიდან აართვა და დარტყმა არ აცალა.

35. იონკმა შორიდან ჩვეულად, ძლიერად გაისროლა, როამ ნახტომში ბურთი კუთხურზე გადააგდო.

37. არიელ ორტეგამ შორიდან ყუმბარისებურად დაარტყა, ვან დერ სარი ძელმა გადაარჩინა.

45. ბატისტუტამ საჯარიმოს ხაზთან სიმეონეს დაუგორა, რომლის ძლიერად გასროლილმაც ცხრიანს ჩაუფრინა.

48. ნუმანმა საჯარიმოში ჩააწოდა, შამოტმა ბურთი პირდაპირ კლუივერტს ჩააბარა, რომელმაც მოულოდნელი საჩუქარი ვერ შეიშნო.

63. ვერონმა ორტეგას მიაწოდა, ამან ბატიგოლი მონახა, რომელმაც ძლიერად დაარტყა და ბურთი მეკარისგან შორეულ ძელს მოარტყა.

65. მოედანზე ახლადშესულმა ოვერმარსმა კლუივერტს ბურთი პირდაპირ თავზე დაასვა, პატრიკმა ძლიერად დაჰკრა თავური და რომ არა როას ოსტატობა, გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

73. ნუმანის პასით ბერხკამპი თავით ცდილობდა კარში ბურთის გადაგზავნას, მაგრამ ვერ ივარგა.

76. ნუმანი სიმეონეს ეუხეშა, რომელიც მსაჯმა მეორედ გააყვითლა და ავტომატურად გააძევა კიდეც.

81. ძანეტის ჩაკიდულზე ბატისტუტა თავით ურტყამდა, არაზუსტად.

84. ვერონმა ძლიერად გაისროლა. ვან დერ სარი ბურთს ადვილად დაეუფლა.

90. ბერხკამპმა უზადო ტექნიკით საჯარიმოში აიალა გააბითურა, როას აულებელი დაურტყა და თავისიანები ნახევარფინალში გაიყვანა.

# ჩემპიონატის დღიური

## 3 ივლისი

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

# დრო — ყველაფრის მკურნალი

### სამოზით

არსებობს დღეები, რომელთა გახსენებაც ძალიან გიხარია. ეს ტკბილი მოგონებებია. გავა ხანი, მიიხედავ უკან და გაგელიმება წარსულზე, გაგახსენდება ძველი სიხარული. გაგიხარდება, როცა მიხვდები, რომ ცხოვრებაში გქონია დღეები, სიცოცხლეს რომ გიხალისებდა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე წარსულია, ახლაც გილამაზებს ყოფას. უმჯობესია, ასეთი დღეები ბევრი იყოს, თუმცა, რაც არ უნდა მხიარულად ცხოვრობდე, დგება დრო და წყენაც მოდის, ტკივილიც. არის ასეთი დღეებიც და მათ ვერსად გაექცევი. ვინ იცის, ზოგჯერ შეიძლება ძველი გულისტკივილიც ტკბილად მოსაგონარი გახდეს.

ორიოდ დღის წინ, 3 ივლისს, იტალიის უდავოდ ძლიერი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთიშა. მიუხედავად იმისა, რომ „სკუადრა ადურამ" დაუმარცხებლად განვლო ხუთივე შეხვედრა, იქ, სადაც ყველაზე მეტად საჭირო იყო მობილიზება, გუნდმა, უფრო სწორად კი ორმა ფეხბურთელმა, ნერვები ვერ მოთოკა, ნაკისრი მოვალეობა ვერ შეასრულა, ამით კი გუნდი დაზარალდა. გუნდთან ერთად გულშემატკივრებაც მოიწყინეს.

კვლავ პენალტების სერიაში მარცხი. ზედიზედ მესამე მსოფლიოს ჩემპიონატია, იტალია ოქროს თასისთვის ბრძოლას სწორედ უხეიროდ დარტყმული პენალტების შემდეგ ეთიშება. რვა წლის წინ, იტალიაში ასე იყო, ოთხი წლის უკანაც და ახლაც. სხვათა შორის, 1990 წელს, მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატის ნახევარფინალში იტალია არგენტინასთან რომ დამარცხდა მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში, მაშინაც 3 ივლისი იდგა. როგორც ჩანს, მაინცდამაინც კარგად ვერ აქვთ აპენინელებს ივლისის მესამე დღე დაცდილი...

ზოგ ქვეყანაში, მაგალითად მაროკოსა და ნორვეგიაში გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გავარდნა ზარ-ზეიმით აღნიშნეს. არა, არც მაროკოელნი გაგიჟებულან და არც ნორვეგიელები, უბრალოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ძლიერი თამაშისთვის ფეხბურთელები გმირებად შერაცხეს და სამშობლოში დაბრუნებულთ მეფური შეხვედრა მოუწყვეს. იცის იმ ხალხმა, რომ მათი გუნდისთვის მხოლოდ მონაწილეობაც სასახელოა. იტალიაში კი...

გააფუჭა თუ არა ლუიჯი დი ბიაჯომ პენალტი, იტალია დადუმდა. ტიფოზებს ყველაფრის ხალისი დაეკარგათ. იტალიის ნაცვლად ნორვეგია, თუნდაც იგივე მაროკო რომ ყოფილიყო და პენალტებში დამარცხებულიყვნენ, ამ ქვეყანაში ღამისთევა და დროსტარება კარგა ხანს არ შეწყდებოდა, თუმცა იტალია იტალიაა, მაროკო და ნორვეგია კი...

„ADIEU" (მშვიდობით) — იტალიის უდიდესმა ტელეკომპანია RAIUNO-მ ხალხს ტრაგედიის შესახებ აუწყა. იტალია მსოფლიოს ჩემპიონატს დაემშვიდობა ამ ერთმა სიტყვამ კი უფრო ლამაზად ასახა აპენინელთა გულისტკივილი, ვიდრე სხვა რამემ. იმ დღეს რომის, მილანის, გენუის, ტურინის და სხვა დიდი ქალაქების ქუჩები დაცარიელდა — რომში, კოლიზეუმის გარშემო არავინ შეკრებილა, იქ, სადაც ნაკრების გამარჯვების შემდეგ თავს იყრიან ხოლმე „ტიფოზები". არავინ გახლდათ მილანის „სან მარტინის" მოედანზე, იქ, სადაც საყვარელი გუნდის წარმატებას აღნიშნავენ „სკუადრა ადურას" ქომაგები. ერთი კაციც არ გამოჩენილა გენუის „ვია ბორგეზეს" სკვერში, იქ, სადაც ნაკრების მოგების შემდეგ ხარობენ გენუელი გულშემატკივრები. ის ქუჩები, მოედნები თუ სკვერები, სადაც იტალიელი ქომაგები იკრიბებიან დაცარიელებული გახლდათ. ყველა დიდ ქალაქში შემაძრწუნებელი სიჩუმე გამეფებულიყო. გულგატეხილმა ხალხმა ნაადრევად მისცა თავი ძილს, მაშინ როცა, ნაკრების გამარჯვების შემთხვევაში ორი ღამის გათენებაზეც ყაბულს იქნებოდნენ. მოხდა ის, რამაც ასე ძალიან დასწყვიტა გული ტიფოზებს — იტალია, მეოთხედ რომ აპირებდა საფეხბურთო ოლიმპის დაპყრობას, მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთხოვა. დაუმარცხებლად, მაგრამ მაინც...

„დროშები უნდა დავუშვათ და შევეგუოთ იმ აზრს, რომ ჩვენი საყვარელი გუნდი ოქროს თასისთვის ვეღარ იბრძოლებს. იტალიის ნაკრები შინ ბრუნდება. სამწუხაროდ, ასეა" — იტალიის თითქმის ყველა სატელევიზიო არხის პირველი რეაქცია გუნდის წაგებაზე დაახლოებით ამდაგვარი გახლდათ.


ჩეზარე მალდინი — დაუმარცხებელი და ამავდროულად ძლეული

25 დღის წინ დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია ერთ-ერთი პირველი ჩაება თასისთვის ბრძოლაში. ჩეზარე მალდინის, რჩეულ იტალიელ ფეხბურთელებს და საერთოდ იტალიელთა ქომაგებს იმედი ჰქონდათ, რომ გუნდი ჩემპიონატს სწორედ 12 ივლისს დაასრულებდა, ანუ ფინალის დღეს, ცხადია, ჩემპიონობით. ოცნება ოცნებადვე დარჩა, იმედი იმედად. ახლა იტალიელებს მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატთან მოგონებებილა აკავშირებს, ბევრი ტკბილი, მწარეც საკმაოდ.

— მაშინ, 1990-ის 3 ივლისს, არგენტინასთან რომ წავაგეთ პენალტები, მეგონა, ცხოვრებამ აზრი დაკარგა. დარდი გუნდის შემდგომმა გამარჯვებებმა გამიქარვა, თუმცა, წყენა, ცხადია, დამრჩა. 1994-ში, ფინალი რომ წავაგეთ, კვლავ იგივე გრძნობა დამეუფლა. ასე მეგონა, ქვეყანა დაიქცა-მეთქი. დრომ კვლავ მიწამლა — ის წყენაც გადავიტანე. ახლა კი რა ვქნა, აღარ ვიცი. გუნდი კარგად თამაშობდა, თუმცა კვლავ პენალტებში დამარცხდა. მეგონა, ნავსს ახლა მაინც გავტეხდით, მაგრამ რად გინდა? სიტყვებით ვერ გამოვხატავ ჩემს მდგომარეობას, თუმცა ვიცი, გავა დრო, წყენაც მთლიანად არა, მაგრამ გარკვეულწილად მაინც ჩაივლის. მიძნელდება ახლა ამის თქმა, მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება! — ანჯელო ბელიჯიო, ტურინის ერთ-ერთი ღამის კლუბის მეპატრონე გულდაწყვეტილი საუბრობდა.

გუშინ, 4 ივლისს, უკლებლივ ყველა იტალიელი ქომაგი დამწუხრებული გახლდათ. კაცმა რომ თქვა, დამწუხრებული კი არა, უფრო მეტიც, გაცილებით გულსატკენი რამ დამართვნოდათ. თუმცა განა ვაება და გოდება საქმეს უშველის? ცხოვრება გრძელდება, დროც გაივლის და დარდიც გარკვეულწილად გაქარვდება. დრო ხომ ყველაფრის მკურნალია.

### ორნი და ჩეზარე

პაოლო მალდინი — იტალიელთა კაპიტანი და დაცვის ბურჯი.

რობერტო ბაჯო — „სკუადრა ადურას" ლიდერი.

ამ ორმა მოთამაშემ კარგად იციან პენალტების სერიაში მარცხის სიმწარე. ფაქტიურად, ყველაზე კარგად. 1990 წელს ორივენი აძელიო ვიჩინის გუნდში იყვნენ, იმ ნაკრებში, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, პენალტების სერიაში 3:4 რომ დამარცხდა არგენტინასთან. ოთხი წლის წინ, 1994-ში, ამჯერად უკვე არიგო საკის მწვრთნელობისას იტალიამ სულაც ფინალი წააგო 2:3. ახლაც იგივე განმეორდა — ავადსახსენებელი პენალტების სერია, კვლავ მარცხი და უკვე მერამდენედ გატეხილი გული — პაოლომაც და რობერტომაც ზედიზედ მესამედ დატოვეს ჩემპიონატი თავჩაქინდრულებმა.

— ძალიან მიჭირს იმის გადმოცემა, თუ რა განვიცადე დი ბიაჯოს ვერგატანილი პენალტი რომ ვიხილე. დარწმუნებული ვიყავი, იგი გაიტანდა. თუმცა ასე არ მოხდა. გინდა დაეხმარო თანაგუნდელს, მაგრამ არაფერი გამოგდის. ეს ყველაზე საშინელი რამაა, რაც კი ოდესმე შეიძლება ფეხბურთელმა განიცადო. ჩვენ დავმარცხდით! — უმალ ამ აზრმა გამიელვა თავში და გონებაც დამიბნელდა. ცუდად გავხდი, ვგრძნობდი, რომ წნევამ ამიწია, სუნთქვა მიჭირდა. არა, ეს საშინელი რამ იყო. ისეთი, საუბარი რომ არ მსურს. პირველი, რაც ახლა მჭირდება, დასვენებაა. ძალიან მძიმე სეზონი მქონდა, ტკივილებით და იმედგაცრუებებით აღსავსე — მალდინის სახე მოღუშვოდა. ალბათ, ძალიან მძიმე გადასატანია პენალტების სერიაში მარცხი, მით უმეტეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე და მით უმეტეს, ზედიზედ მესამედ.


დამწუხრებული ტიფოზი — მისნაირები იტალიაში, და არა მარტო იქ, მილიონობით იყვნენ

უკვე ათ წელიწადზე მეტია, იტალიელთა კაპიტანი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლება. პაოლოს თამაში მართლაც შთამბეჭდავია. იგი ნამდვილად ძლიერი მცველია, თუმცა ბოლო სეზონებია, წარუმატებლობა მუდამ თან სდევს, გნებავთ კლუბში, გნებავთ ნაკრებში. „მილანი", რომელიც პაოლოს კარიერაში ერთადერთი კლუბია, აგერ უკვე სამი წელია, საშინლად თამაშობს. შედეგიც შესაბამისი აქვს — არანაირი თასი თუ ჩემპიონობა. რაც შეეხება ნაკრებს, აქ თითქმის იგივე სიტუაციაა: ევროპის ჩემპიონატი იყო და გუნდი ჯგუფიდან ვერ გავიდა, მსოფლიოს ჩემპიონატი და მეოთხედფინალს ვერ გასცდა. ერთი სიტყვით, უიღბლობა პაოლო მალდინის მუდმივი თანამდევია ბოლო წლების მანძილზე.

სულ სხვა თემაა რობერტო ბაჯო. ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელებმა სულ რვა გოლი გაიტანეს. აქედან ოთხში ბაჯომ მთავარი როლი ითამაშა — ორი ბურთი თავად გაიტანა, თითოჯერაც კრისტიან ვიერის და ლუიჯი დი ბიაჯოს გაუწია ასისტენტობა. თან, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მას თითქმის ორ შეხვედრაში არ უთამაშია, ვფიქრობ, ნათლად გამოჩნდება მისი დამსახურება იტალიელთა წინაშე. მიუხედავად ამისა, ჩეზარე მალდინის მის ნაცვლად მაინც ალესანდრო დელ პიერო გაჰყავდა, ეს უკანასკნელი კი...

— ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. არ მეგონა, კვლავ თუ გამიცრუვდებოდა იმედი. ისევ პენალტები, ისევ მარცხი, რა უბედურებაა. ამაზე უარესი რა უნდა დაემართოს ფეხბურთელს. სამჯერ გამოეთიშო მსოფლიოს ჩემპიონატს არაზუსტად დარტყმული პენალტების გამო, ეს იცით, რამხელა ტრაგედიაა? შეუძლებელია, ჩემი მდგომარეობა გადმოგცეთ. ძალიან მიჭირს. მინდოდა, კარიერის ბოლო დიდი ტურნირი გამარჯვებით დამესრულებინა, მაგრამ არ გამოვიდა. ოთხი წლის წინ, პენალტი რომ ავაცილე, რამდენიმე თვის განმავლობაში დეპრესიაში ვიყავი, თუმცა შემდგომ ყველაფერმა ჩაიარა. მე კარგად მესმის დი ბიაჯოსი. მის გამო იტალია გავარდა, თუმცა განა მას უნდოდა აცილება? რაც მოხდა, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ახლა ვერაფერს შეცვლი. რაც მოხდა, მოხდა. წარსულის შეცდომებს ვეღარ გამოასწორებ — მეოთხედფინალის დასრულებიდან საათიც არ იყო გასული, „RAIUNO"-ს კორესპონდენტს რობერტო ინტერვიუს რომ აძლევდა. მართალია, ძალიან უჭირდა, მაგრამ მაინც.

თითქმის ერთი წლის განმავლობაში ბჭობდნენ, წაეყვანათ თუ არა გენიალური გამთამაშებელი მსოფლიოს ჩემპიონატზე. საბოლოოდ ყველაფერი რობერტოს სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა, მწვრთნელმა მისი შესაძლებლობანი სათანადოდ მაინც ვერ გამოიყენა. იტალია ამისთვის დაისაჯა კიდეც.

ნორვეგიელებთან მერვედფინალური მატჩის დროს იტალიელთა სათადარიგო სკამის უკან „ტიფოზები" მოკალათებულიყვნენ. ერთ მომენტში მავანმა ქომაგმა, საყვარელი გუნდის ცუდი თამაში რომ ვერ აიტანა, ჩეზარეს უყვირა. სტადიონის მოხელეებმა აღშფოთებული გულშემატკივარი დააკავეს, მწვრთნელმა კი, რომელიც რობერტოს თამაშში ჩართვას უპირებდა, აზრი იცვალა და ბაჯო აღარ ათამაშა. მატჩის შემდეგ უფროსი მალდინი გაცხარებული იძახდა, ბაჯოს დელ პიერო მირჩევნია, ახლა ალესანდრო გაცილებით კარგ ფორმაშიაო. ვინ როგორ იყო, ნათლად გამოჩნდა.

— ნაკრების თამაშით კმაყოფილი ვარ. შედეგით კი, თქვენც კარგად ხვდებით, არა. ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს მოსაგებად, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს. სამწუხაროა, მაგრამ ასეა. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. მომხდარის განსასჯელად დრო მჭირდება — ჩეზარე მალდინიმ ფრანგებთან მარცხის შემდეგ მხოლოდ ეს განაცხადა.

### ადამიანი და იმედი

მსოფლიოს პირველობაზე მარცხს უამრავი მწვრთნელი შეუწირავს. მარტო ამ ჩემპიონატში მონაწილე, მაგრამ ნაადრევად გავარდნილი დაახლოებით 10-მდე ნაკრების თავკაცი დაემშვიდობა თავის ადგილს. იტალიაც სამშობლოში გამგზავრებულ გუნდებს მიემატა, თუმცა ჩეზარე მალდინი ჯერჯერობით ნაკრების მწვრთნელად დარჩა. იქნებ გადადგეს კიდეც, იქნებ არა. დანამდვილებით არავინ იცის. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატთან დამშვიდობებამ მისი პოზიციები, ვერ ვიტყვი, საგრძნობლად, მაგრამ მაინც შეარყია.

ორ თვეში ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება. თუ რამეა გასარკვევი, იქამდე ყველაფერს მოეფინება ნათელი, მანამდე კი უფროსი მალდინი კვლავ უთავკაცებს „სკუადრა ადურას".

და მაინც, ცხოვრება გრძელდება. ბევრი ნაკრები, თანაც საკმაოდ ძლიერი, გამოთიშვია მსოფლიოს ჩემპიონატს ნაადრევად, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა. განვლო წლებმა და უწინ ხელმოცარულმა გუნდებმა ოქროს თასი აღმართეს. იტალიაშიც სწორედ ამის იმედი აქვთ.

ადამიანი ხომ იმედით ცოცხლობს.


ახლა დამწუხრებულ რობერტო ბაჯოს ავტოგრაფებისთვისაც აღარ სცხელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამბა ლაუდრუპის გაცილებაზე

ბრაზილიელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ფეხბურთის ჯადოქრები არიან. ყოველი მატჩი მათი მონაწილეობით ნამდვილი ზეიმია (ნორვეგიასთან შეხვედრის გამოკლებით) და ყველას, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მათ ფავორიტებად მიიჩნევდა, ალბათ, ახლა ეჭვიც არ ეპარება სამხრეთამერიკელთა გამარჯვებაში. რა შეიძლება ითქვას ამ გუნდზე? იგი მკვეთრად განსხვავდება ოთხი წლის წინანდელისგან, რომელიც არცთუ ლამაზ, მაგრამ უმაღლეს დონეზე მობილიზებულ „ევრო-



დღესასწაულმა რიოში დილამდე გასტანა

პულ" ფეხბურთს თამაშობდა. იგი უფრო ადრინდელ გუნდებს ჰგავს. ბრაზილიის დღევანდელ ნაკრებს არ ჰყავს კარგი დაცვა, არ არის მძლავრი მაგრამ ზუსტად ისეთია, როგორზეც ადრე ამბობდნენ — ამათ შეიძლება ბევრი გოლი გაუშვან, მაგრამ ერთით მეტის გატანას მაინც მოახერხებენო. სწორედ ეს არის ბრაზილიური ფეხბურთის ნამდვილი სახე, ფეხბურთისა, რომელიც მთელს მსოფლიოში უყვართ და პატივს სცემენ. მარიო ზაგალოც ის კაცია, ამგვარ თამაშს რომ ანიჭებს უპირატესობას. ბევრი ამბობს, დაბერდა და ჭკუა ისე ველარ უჭრისო, მაგრამ ამის თქმა, ვფიქრობ, არ არის მართებული, სხვა თუ არაფერი, იგი ოთხჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და 1970 წელს იმ გუნდს ედგა სათავეში, ჯერჯერობით ბადალი რომ არ ჰყავს და, ალბათ, კარგა ხანს არც ეყოლება. არც მისი შეგირდები არიან ხელწამოსაკრავნი: პლანეტის ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელი, ფენომენად შერაცხული რონალდო: მსოფლიოს ულიერესი მარცხენა მცველი რობერტო კარლოსი, რომელიც არც თავდასხმაში ირჯება ნაკლებად და დარტყმაც ისეთი აქვს, ბარე ორს პირლიას რომ ტოვებს, დენილსონი, ბიჭი, რომელიც გულშემატკივრებმა ლეგენდარული გარინჩას მემკვიდრედ შერაცხეს და ბევრი სხვა, მათი ჩამოთვლა შორს წგვიყვანს. 28 წლის წინანდელის არ იყოს, მარიო ლობოს კოზირსაც დღესაც, ალბ-ათ, ინდივიდუალურად ჩინებულად მოთამაშე ფეხბურთელები წარმოადგენენ. მას ამისთვისაც ბევრჯერ მოუსმენია კრიტიკული შენიშვნები — ასეთი ვარსკვლავები გყავს და ერთ გუნდად ვერ ჩამოაყალიბეო. თუმცა ერთიც არის — დღევანდელი ბრაზილიის ნაკრები ერთ მუშტად შეკრული, დაბალანსებული გუნდი რომ იყოს, მსოფლიოს ჩემპიონი ვინაობა საეჭვო არ გახდებოდა.

ასე იყო გუშინწინ, დანიელებთან შეხვედრაში. სამხრეთამერიკელთა თამაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ისინი პირველად იყვნენ ერთად მოედანზე. თუმცა ბრაზილიელები ინდივიდუალურად იმდენად ბრყწინავდნენ, რომ მაშინაც კი, როცა მატჩის დასაწყისში გოლი გაუშვეს და უმალ შეუტიეს, ცხადი შეიქნა, ამ შეხვედრას არასგზით არ დათმობდნენ. პირადად მე ისიც კი გავიფიქრე, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს როცა კი მოუნდებათ, გოლს მაშინვე გაიტანენ-მეთქი. შესანიშნავი იყო ამ დღეს რივალდო, არა მარტო იმიტომ, რომ ორჯერ დალაშქრა მეტოქის კარი, არა, იგი გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო, მას ყველაფერი გამოსდიოდა, თანაც ძალიან ლამაზად. რივალდოს გალაღებას ორმა კაცმა შეუწყო ხელი. უპირველესად უბერებელმა კაპიტანმა დუნგამ, რომელსაც თავისუფლად შეიძლება იმ თამაშში ბრაზილიელთა ტვინი ვუწოდოთ და გენიალურმა რონალდომ. მართალია, მან შმეიხელს ვერ გაუტანა, მაგრამ ბებეტოს და იმავე რივალდოს ისეთი გადაცემები მიაწოდა, გეგონებოდა, სულ ცოტა 15 წელია, დიდ ფეხბურთს თამაშობსო. აკი თქვა კიდეც მატჩის გმირმა რივალდომ: „მოედანზე ჩემს და რონალდოს შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს, ჩვენ იდეალურად გვესმის ერთმანეთის, რაც მეორე გოლმაც დაამტკიცა — მან ბრწყინვალე პასი მომცა და მე, უბრალოდ, უფლება არ მქონდა, კომბინაცია გამეფუჭებინა. ეს გოლი რონალდოს ეკუთვნის. ასევე კარგად ვუგებთ ერთმანეთს მე და დუნგა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდის სხვა წევრებთან რაიმე სირთულეები მქონდეს — ბრაზილიის ნაკრებში დიდი ფეხბურთელები თამაშობენ და აქ ყოველგვარი გაუგებრობა გამორიცხულია".

მეგობრების შექება არც რონალდოს დავიწყებია: „თამაშის მერე მკითხეს, გოლის გატანაზე რატომ არ გააკეთე აქცენტიო. ჩემთვის ბურთის კარში შეგდება მთავარი არ არის, მე გუნდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ვარ და ვაკეთებ იმას, რაც საერთო საქმისთვის უმჯობესი იქნება. დანიელებთან ბებეტო და რივალდო მშვენივრად ისხნებოდნენ და მეც მათ პასებით ვამარაგებდი, რამაც ნაყოფიც გამოიღო. ისინი მოედანზე საუკეთესონი იყვნენ". რონალდომ ისიც თქვა, დანიის ნაკრები ყველაზე ძლიერი, ყველაზე ტექნიკური გუნდი იყო, ვისაც აქამდე მსოფლიოს ჩემპიონატზე შევხვდითო.

დანიელები მართლაც მშვენივრად ირჯებოდნენ და შეიძლება ითქვას, სახელოვან მეტოქეს ღირსეულად დაუხვდნენ. ეს მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მარიო ზაგალომაც აღნიშნა: „სავსებით შესაძლებელი იყო, ეს მატჩი დანიას მოეგო 3:2, რადგან შეხვედრა მეტად გახსნილი გამოდგა. ორივე გუნდი მხოლოდ შეტევაზე ფიქრობდა და ცდილობდა, ერთმანეთისთვის ლამაზი, ლაღი ფეხბურთის თამაშში ხელი არ შეეშალა. ეს შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონატის მშვენება გახლდათ".

თავიანთი აზრი მატჩის შესახებ დამარცხებული გუნდის ფეხბურთელებმაც გამოთქვეს. პეტერ შმეიხელმა განაცხადა, რომ დანიელები არ შეუშინდნენ სახელოვან მეტოქეს, ღირსეულად იბრძოლეს და საფრანგეთს თავაწეულები ტოვებენ. მეკარეს ბრაზილიელთა კარში პირველი გოლის გამტანი იორგენსენიც ეთანხმება: „ჩვენ დაუვიწყებელი შეხვედრა ჩავატარეთ. მოედანზე ორი თითქმის თანაბარძალიანი გუნდი იმყოფებოდა და მატჩიც ბრყინვალე გამოდგა. მეამაყება, რომ ასეთი კარგი ნაკრების წევრი ვარ".



დანიელებთან შეხვედრაში რივალდო მართლაც საუკეთესო იყო

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა ხდებოდა იმ დღეს ბრაზილიაში. მსაჯის საფინალო სასტვენი და რიო დე ჟანეიროში კარნავალის დაწყება ერთი იყო. მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა სამბას ჰანგები და ფრიალებდა ქვეყნის დროშები. ბრაზილიის ყველაზე დიდ ქალაქ სან პაულუში მანქანებზე შემოსკუპებული გულშემატკივრები მთელი ხმით გაჰყვიროდნენ თავიანთი კერპების სახელებს, რომელთა შორის რივალდო და რონალდო სჭარბობდა. ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი რამ თქვა: „დანიას კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ ბრაზილია მაინც ბრაზილიაა. ბიჭებმა მხოლოდ შესაძლებლობების 70 პროცენტი გამოავლინეს და როცა ეს ციფრი ასამდე გაიზრდება, მაშინ ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდება".

ფეხბურთის მეფე პელე თავშეკავებული გახლდათ: „ნელ-ნელა ვუმატებთ, რაც ძალიან მიხარია. თუმცა მდგომარეობა იდეალური ნამდვილად არ არის. დასახვეწია დაცვის ხაზი დ ნახევარდაცვამაც უფრო მეტი უნდა იმოძრაოს. ეს პრობლემები თუ გადაიჭრა, ჩვენ ხელს ველარავინ შეგვიშლის".

ასეთია გულშემატკივართა და თავად ფეხბურთელთა განწყობა. ბრაზილია ნახევარფინალში გავიდა და კიდევ ორი თამაშის გამართვა მოუწევს საფრანგეთში. ოღონდაც საკითხავი ის არის, მეორე მატჩს როდის ჩაატარებენ — 11 თუ 12 ივლისს. ამას სულ მალე შევიტყობთ, ხოლო რაც შეეხება ბრაზილია — დანიის შეხვედრას, იგი, ალბათ, ასე უნდა შეფასდეს — დიდი მიქაელ ლაუდრუპის ფეხბურთთან ღირსეულ გამოთხოვებას რივალდოს მიერ შესრულებული სამბა ძალიან მოუხდა.

**დავით ძოძუაშვილი**

# მეოთხედ საუკეთესო ოთხეულში

**ჩემპიონატის** მეოთხედფინალურ შეხვედრაში იტალიის ნაკრებთან გამარჯვებას საფრანგეთში განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ. „სკუადრა ატურა" ხომ სამფეროვანთათვის ყოველთვის გამორჩეულად ძნელი მეტოქე იყო და მასთან მოგებას გულშემატკივრები დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ. თუმცა იტალიელებთან ძველი ანგარიშების გასწორებას რომ თავი დავნებოთ, ფრანგებს სხვაც ბევრი რამ ჰქონდათ სადღესასწაულო. ისინი უპირველესი საფეხბურთო ტურნირის ნახევარფინალებში გასვლით განებივრებული არასდროს ყოფილან და წარმატებებს დანატრებულებმა ემე ჟაკეს ქვეშევრდომთა მიერ საუკეთესო ოთხეულში ადგილის დაჯავშნა ამიტომაც იზეიმეს.

აქამდე გამართულ თხუთმეტ მსოფლიოს პირველობაზე ფრანგებს ნახევარფინალურ სტადიაზე სულ სამჯერ გაეღწიათ. 1958 წელს შვედეთში ისინი ბოლოსწინა ეტაპიდან მომავალმა ჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა გამოთიშეს, ხოლო 1982 და 1986 წლებში მართლაც უძლიერესი საფრანგეთის ნაკრები ნახევარფინალებში გერმანელთა მსხვერპლი შეიქნა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, და რაც დრო გადიოდა, ფეხბურთის სპეციალისტები თუ რიგითი გულშემატკივრები ერთისკენ იხრებოდნენ — პლატინისდროინდელი ნაკრები გამორჩეული იყო საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში და თუ იმ მოთამაშეებით ვერ შევძელით ფინალში გაღწევა, ძნელი სავარაუდოა, ეს ახალმა თაობებმა მოახერხონო — ასეთი გახლდათ საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, თუმცა მას შემდეგ, რაც ფიფამ საფრანგეთს ჩემპიონატის მასპინძლობის ნება დართო, უკიდურესი სკეპტიკოსების გულებშიც იმედის ნაპერწკალი აციაფდა.

უნდა ითქვას, რომ თავად ჩემპიონატს ფრანგთა იმედები ჯერჯერობით არ გაუწბილებია. ის კი არა, იტალიელების დამარცხებით შეგულიანებული ჟაკე მიღწეულით დაკმაყოფილებას სულაც არ აპირებს და თავის ქვეშევრდომებს ახალი სიმაღლეების დასაპყრობად მოძღვრავს.

— მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა ნებისმიერი გუნდისთვის დიდი მიღწევაა, მაგრამ ჩვენ ბრძოლის შეწყვეტის უფლება არ გვაქვს. მე კარგად ვიცნობ ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათ კიდევ უფრო ლამაზი თამაშის ჩვენება ძალუძთ — მიაჩნია ფრანგთა თავკაცს, რომელსაც საკმაოდ უფერულად ჩატარებული წინასატურნირო მზადების ციკლის გამო ფრანგულმა მასმედიამ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს და გუნდს მცდარი გზით წაყვანაში დასდო ბრალი. თუმცა მწვრთნელმა ყველა შეტევა ვაჟკაცურად გადაიტანა, თავდაპირველად არჩეული ტაქტიკური მონახაზების ერთგული დარჩა და როგორც ფრანგთა მიერ ამ ზაფხულში გამართულმა მატჩებმა აჩვენა, არცთუ უსაფუძვლოდ.

— უპირველეს საფეხბურთო ასპარეზობაზე წარმატებით გამოსვლა მეტად ძნელია. ჩემპიონობა რომ დაიბევო, ზედიზედ შვიდ შეხვედრაში მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებებს უნდა გაუსწორდე. ეს კი სახუმარო საქმე სულაც არ გახლავთ. ამიტომ ვთვლი, რომ გამარჯვებისთვის მხოლოდ კარგი ფიზიკური თუ ტაქტიკური მზადყოფნა საკმარისი არ არის. აქ ბევრი რამ იღბალზეცაა დამოკიდებული და მოხარული ვარ, რომ ამ მხრივ განგებამ ზურგი არ გვაქცია — განაცხადა იტალიელებთან უმძიმესი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ გახარებულმა ჟაკემ.

თუმცა მწვრთნელს ნახევარფინალში გასვლამ თავბრუ არ დაახვია და ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვას, თავს უკვე



ბლანი (მარჯვნივ) და ბარტეზი ჩემპიონობას უმიზნებენ

ფინალისტად ხომ არ გრძნობთო, საკმაოდ თადაჭერილად უპასუხა.

— ოთხმოციან წლებში ნახევარფინალური სტადიაზე გერმანელებს ვაწყდებოდით და მათი დამარცხება ვერც ერთხელ ვერ შევძელით. ამიტომ თუ ფინალში გასასვლელად წლეულსაც მათთან პაექრობა მოგვიხდა, გაორმაგებული ენერგიით ვიბრძოლებთ. თუმცა გერმანიის ნაკრების ჟინი და შემართება საქვეყნოდაა ცნობილი და ხელაღებით იმის თქმა, რომ უეჭველად გავიმარჯვებთ, სასაცილოც კი იქნება.

ჟაკესგან განსხვავებით, ნაკრების ფეხბურთელები მეტად თავშეუკავებელნი აღმოჩნდნენ. თუ მათი გამონათქვამებით ვიმსჯელებთ, ფრანგთათვის ნახევარფინალი ძნელად გადასალახავი ბარიერი სულაც არ არის.

— ამ წუთისთვის არ არის გარკვეული, ფინალში გასასვლელად ვისთან მოგვიწევს თამაში. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, რომ საფრანგეთის ნაკრები უძლიერესია და მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ შეხვდება. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ ვიცით — გზად ჩემპიონობისკენ შვიდი მატჩიდან ხუთი უკან მოვიტოვეთ და არც დანარჩენი ორის მოგება გაგვიჭირდება — ეს ფრანგთა კაპიტნის ლორან ბლანის მოსაზრება გახლავთ.

— საფრანგეთის ნაკრებს თავისი არსებობის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არ უასპარეზია. ახლა სწორედ ჩვენ მოგვეცა შანსი, რათა ეს უილბლო ტრადიცია, ბოლოს და ბოლოს, დავარღვიოთ და გავაკეთოთ ის, რაც ლეგენდარული პლატინისდროინდელმა გუნდმა ვერ შეძლო. — განაცხადა იტალიის „იუვენტუსის" ნახევარმცველმა დიდიე დეშამპმა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიდი სურვილის მიუხედავად ფრანგებს ფინალში გასვლა ერთობ გაუჭირდებათ. მათ ხომ პარაგვაელებთან და იტალიელებთან მომქანცველი მატჩები ჩაატარეს და ორმა 120 წუთიანმა სიქაგამომცლელმა თამაშმა შეუძლებელია, ფეხბურთელებზე უარყოფითი გავლენა რა იქონიოს. თუმცა, თუ დეშამპის სიტყვებს ვენდობით, ეს ფაქტორი საფრანგეთის ნაკრების შემდგომ ასპარეზობაზე დიდად არ იმოქმედებს.

— მართალია, გუნდი ორმა უძნელემა თამაშმა უკიდურესად დაღალა, მაგრამ ნახევარფინალამდე კიდევ რამდენიმე დღე გვაქვს და დარწმუნებული ვარ, ძალების აღდგენას თავისუფლად მოვასწრებთ. ასეც რომ არ იყოს, ჩვენი ნებიმყოფა, ამბიციები და მიზანსწრაფვა იმდენად ძლიერია, რომ საკუთარი შესაძლებლობების ასი პროცენტით გამოვლენა ორ მომდევნო შეხვედრაშიც არ გაგვიჭირდება. ჩვენ ხომ გამარჯვება ისე გვჭირდება, როგორც არასდროს და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ — ამბობს დეშამპი.

ჩვენ კი არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ დაველოდოთ და ვნახოთ, შეძლებს თუ არა გადაღლილი და თითქმის უთავდამსხმელებოდ დარჩენილი საფრანგეთი სანუკვარი, აქამდე მიუწვდომელი ოცნების ასრულებას.

**ირაკლი ხმელიძე**

# ზაგალო მსაჯობას უჩივის

ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, მარიო ზაგალოს იმ ექვსი მსოფლიოს ჩემპიონატის მანძილზე, რომლებზედაც იგი ეროვნულ გუნდს თან ახლდა, მრავალგვარი მსაჯობა უნახავს, მაგრამ თმაჭაღარა სამხრეთამერიკელი წელს საფრანგეთში მივლენილი არბიტრების საქციელს მაინც ყველაზე მეტად აღუშფოთებია. „ბებერი მგელი" ჯგუფური ტურნირის მატჩების დროს ჩუმად იყო და მსაჯების თითოეულ განაჩენს ყოველგვარი ემოციების გარეშე ხვდებოდა, მაგრამ როდესაც საქმე გადამწყვეტ თამაშებზე მიდგა, არბიტრების საქციელით გულმოსულმა ზაგალომ თავი ველარ შეიკავა.

შაბათს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონების თავკაცმა ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჩემპიონატის ორგანიზატორებს მსაჯობის პრობლემის მოგვარებისკენ მოუწოდა. ზაგალოს აღშფოთების მიზეზი კი ბრაზილიისა და დანიის ნაკრებებს შორის გამართული მეოთხედფინალური შეხვედრის მთავარი მსაჯის საკმაოდ საეჭვო გადაწყვეტილებები გახლდათ. გახსოვთ, ალბათ, მატჩის მიწურულს ბრაზილიელთა ერთ-ერთი შეტევისას მათი მარცხენა მცველი კაფუ ჯარიმის შესრულებას აჭიანურებდა. ეს არბიტრმა დროის გაყვანის მცდელობად მიიჩნია და ფეხბურთელს ყვითელი ბარათი ამოუღო, რაც იმას ნიშნავს, რომ კაფუს ჰოლანდიელებთან ნახევარფინალური შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

— ამ ჩემპიონატზე მსაჯების მოქმედება არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. ისინი თითოეულ ეპიზოდს როგორც მოეპრიანებათ, ისე სჯიან. ეს კი დაუშვებელია. საკვირველია, რისთვის გააფრთხილა ჩემი ფეხბურთელი არბიტრმა. კაფუ საჯარიმოს ჩამოსაწოდებლად ემზადებოდა და დროის გაყვანა აზრადაც არ მოსვლია. მსაჯები უეჭველად გარკვეული მითითებების შესაბამისად მოქმედებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში რითი აიხსნება ის, რაც საფრანგეთი-იტალიის მეოთხედფინალური მატჩის დროს მოხდა? მაშინ კარგად ჩანდა,რომ ერთ-ერთ ეპიზოდში იტალიელმა მოთამაშემ იდაყვი ჩაარტყა ფრანგს (საუბარია იმ მომენტზე, როდესაც ფანჩესკო მორიერო ლორან ბლანს იდაყვით გაუმასპინძლდა ი.ხ.), მაგრამ ამას მსაჯისგან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია — განაცხადა დამწუხრებულმა ზაგალომ, რომელსაც მარსელში გასამართი ნახევარფინალური მატჩის წინ ახალი თავსატეხი გაუჩნდა. კაფუ ხომ ბრაზილიელთა დაცვის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა და უმისოდ სამხრეთამერიკელთა თამაშს ხიბლი ეკარგება.

— ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირის შეხვედრების დროს მრავლად იყო ისეთი შემთხვევები, როცა სულ უმნიშვნელო ჯარიმაზეც არბიტრები ფეხბურთელებს მოედნიდან აძევებდნენ, ხოლო გაცილებით მძიმე დანაშაულზე თვალს ხუჭავდნენ და ყვითელი ბარათის ამოღებაზეც კი თავს იკავებდნენ. ინგლისი-არგენტინის მატჩში ხომ საერთოდ კომიკური სიტუაცია შეიქმნა. საბრალო ბექემი, რომელსაც რამდენიმე წამის წინ უხეშად ეთამაშნენ და მინდორზე წააქციეს, მხოლოდ იმისთვის გააძევეს, რომ ფეხი აიქნია და მეტოქის გაუცაცუნა. მაშინ როცა წინა ეპიზოდში დამნაშავე დიეგო სიმეონე საერთოდ საშინლად ეუხეშა ბექემს და მხოლოდ ყვითელი მიიღო. მე ვერ ვხედავ იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც ფიფას მიერ საფრანგეთში მივლენილი არბიტრები ირჩევიან. ისე გამოდის, რომ თამაშის ბედი თავად მსაჯის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული — აღშფოთებას ვერ მალავდა ბრაზილიელთა 66 წლის თავკაცი.

ზაგალოს თქმით, დანიელებთან შეხვედრას იგი მშვენიერი განწყობით შეხვდა, მაგრამ მსაჯის საოცარმა საქციელმა იმდენად გააოგნა, რომ თამაშის ბოლოს ნახევარფინალში გასვლისგან გამოწვეული სიხარულის აღქმის თავიც კი აღარ ჰქონდა.

— ბრაზილია-დანია მართლაც დაუვიწყარი, ემოციებით აღსავსე თამაში იყო, რომელმაც არა მხოლოდ ჩემზე, არამედ გუნდზეც და საერთოდ მთელ ჩვენს ხალხზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. მატჩის შემდეგ მეტად განერვიულებული გახლდით და ნერვების დასაოკებლად შინ დავრეკე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ საკმაოდ ემოციური პიროვნება გახლავართ და მეუღლესთან და შვილებთან საუბარი აბსოლუტურად მაწყნარებს. ახლა ნახევარფინალურ შეხვედრას შედარებით დამშვიდებული ვხვდები და მწამს, მსაჯები უფრო გონივრულად მოიქცევიან — ზაგალომ თავისი საუბარი მაინც იმედიანად დაასრულა.

**ირაკლი ხმელიძე**

# ერთი კოვზიღა სჭირდებოდა

დანიის სამეფოში გლოვა არ გამართულა. ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებმა თვით ბრაზილიას არ დაუდო ტოლი და თუმც წააგო, ადგილობრივ პრესაში ქება დაიმსახურა.

ყოველდღიური გაზეთი „პოლიტიკენი" წერდა, რომ დანიის ეროვნულმა გუნდმა ტურნირი ლამაზად და ღირსეულად დასტოვა.

„დანიამ მსოფლიოს პირველობაზე სხვათა შემაძრწუნებლის სახელი მოიხვეჭა. ჩვენს ნაკრებს ბრაზილიასთან შეხვედრაში ერთი სავსე კოვზი იღბალი რომ ჰქონოდა, უთუოდ ტრიუმფს მოიწყობდა. დანია იყო პირველი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონებს რეალური საფრთხე შეუქმნა. მან ითამაშა სწრაფად, ტექნიკურად და გონივრულად. ასეთი თამამი მოქმედებით ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად შევირაცხეთ."

მეორე გაზეთი, „ბერლინგსკე ტიდენდე" წერდა: „ყველამ უნდა მივაგოთ პატივი დანიის ეროვნულ გუნდს, რომელიც გმირულად და ვირტუოზულად იბრძოდა ბრაზილიასთან, მაგრამ სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შემდეგ ეტაპზე რომ ვერ გავედით, სამარცხვინო სულაც არ გახლავთ, რადგან ბრაზილიის ნაკრები ჩვენზე უკეთესი გუნდი იყო, მაგრამ ვაიძულეთ მაქსიმუმი გაეღო, რათა 3:2 მოეგო და ნახევარფინალისკენ გაეკვლია გზა."

კიდევ ერთი გაზეთი „აილანდს პოსტენი" აცხადებს: „ჩვენ ვამბობთ, „ო რევუარ", მაგრამ ამის წარმოთქმისას ამაყნი და ღირსეულნი გახლავართ."






დასაწყისი პირველ გვერდზე

ცხადია, უეფას პრეზიდენტი თავით ბურთაობას არ გულისხმობდა. და მართლაც, ბოლო ხუთ წუთში ევროპელთა ორი ძალზე მწვავე შეტევიდან ერთში დანიელებისთვის ბედს რომ გაეღიმა, სენსაცია მაშინ გეკითხათ. ყოველ შემთხვევაში, დანიის ნაკრებმა უფროსი ლაუდრუპის თავკაცობით ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ფეხბურთის ჯადოქრებს.

ეს მატჩი „ეკიპმა" ხუთი ვარსკვლავით (ძალიან კარგი) შეაფასა. ბრაზილიელ მოთამაშეებს საშუალოდ 5,7 ქულა დაუწერეს. ყველაზე მაღალი ბალი დაიმსახურა რივალდომ — 7,5; რონალდოს 7 ერგო. დანიელთა თამაშიც დაახლოებით ასევე შეფასდა — 5,65 ქულა საშუალოდ. პირველ ადგილზე უმცროსი ლაუდრუპია — 7 ქულა. აქაური პრესის აზრით, ბრაზილიელებმა განსაკუთრებული ვერაფერი აჩვენეს, რასაც ელოდნენ, ისიც კი. „ეკიპის" მთელ გვერდს გასდევს სათაური „ბრაზილია კანკალებს". და მართლაც, ისე არ ქუხს, როგორც წვიმს. როცა მარიო ზაგალოს გუნდს გაუჭირდა, დროის გაყვანაც დაიწყო, ბურთს ხშირად აუტშიც აგდებდნენ, კუთხურებიც ბლომად დაინიშნა ხელზე, როცა მას ბილეთი არ შეახვედრეს. ბოლო-ბოლო, საქმეში კოლოსკოვი ჩაერია და სკანდალიც ამით დამთავრდა.

მე კი იმ იმედით მივდივარ სენტ ეტიენში, რომ განაცხადი ერთ-ერთმა პირველმა შევიტანე. ბოლოს კი ისევ სენტეტიენელი მშველელის — მუსიე ალანის იმედად ვრჩები. სწორედ მისი დახმარებით აღმოვჩნდი არგენტინა — ინგლისის თამაშზე. გუშინ ერთ-ერთ მიღებაზე კი მასთან ხმა შემაწიეს — ვინძლო უბილეთოდ არ დატოვოო.

სტად დე ფრანსზე იყო გაცეცხლებული, აღშფოთებული ჟურნალისტების მთელი კოჰორტა, ყვირილი, მუშტების ქნევა და ფეხების ბრახუნი, ფიფას ხელმძღვანელობის გამოძახების მოთხოვნა. ბილეთებს ჩვენ აქ ვანაწილებთ, ფიფას მოჰკითხეთო — გაიძახიან მოხელეები და მომლოდინეთა გრძელი სიიდან (რამდენიმე ასეული კაცი) მხოლოდ შვიდს თუ რვას აკმაყოფილებენ. ერთმა ბედნიერმა კოლეგამ — კანადელმა — როცა მისი გვარი ამოიკითხეს, ისე დაიგუგუნა, ვივა ფიფასო, კინაღამ ჭერი ჩამოილო.

მუსიე ალანი კი ყველას უარით ისტუმრებს, ჟურნალისტები დაუფარავად უკურთხებენ ფიფას იმ სამსახურს, ვისაც ეს საქმე აბარია. მაგრამ ეს კიდევ კარგად მახსოვს, ატლანტაში ოლიმპიურ თამაშებზე ამ დაწყევლილი პირველი ანუ ოქროს გოლის წესით როგორ წავაგეთ პორტუგალიასთან.

*ზინედინ ზიდანი:* მე მზად ვარ რეაბილიტაციისთვის. ამ მატჩს ჩემს მომავალ კარიერაში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩვენ ნახევარფინალში გასვლის ალტერნატივა არ გაგვაჩნია.

*ემე ჟაკე:* ორივე გუნდის ბევრი ფეხბურთელი ერთმანეთის მეგობარია; ყველამ კარგად იცის ერთმანეთის ძლიერი და სუსტი მხარე. უნდა ველოდოთ დიდ ფეხბურთს. მოგება ჩვენი იქნება. ამაში კი ზიდანი ბევრით დაგვეხმარება.

საერთოდ ზიდანი მესიად იყო მიჩნეული — აი, გამოვა მოედანზე და ფრანგების ყველა პრობლემა ერთბაშად მოიხსნებაო. კარგი ფეხბურთელია ზინედინი, ამ მატჩშიც ცუდად არ უთამაშია, მაგრამ სასწაული არ მოუხდენია.

ფრანგების თამაშს შეტევაში თითქოს დენთი გამოელიაო. წინასწარი ეტაპის სამ მატჩში გატანილ 9 გოლს შემდგომში 210 წუთის მანძილზე მხოლოდ ერთი (ერთხმად „ოქროს ბურთად" მიჩნეული — პარაგვაისთან) დაემატა. ეს უკვე გარკვეულწილად საგანგაშოა.

თამაში ტელევიზიით იხილეთ და მისი აღწერა აზრს კარგავს. ერთ საკითხში, ალბათ, ერთსულოვანნი ვართ —

# ბრაზილია აკანკალდა?

მათ კართან და არც ყვითელი ბარათები დაჰკლებიათ. ერთხელაც ვიტყვი: რომ არა შმაიხელის შეცდომა, სრულიად მარტივ სიტუაციაში დაცვაში ელემენტარული გაუგებრობა, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ყოველივე.

მაგრამ ეს უკვე მჩხიბავების საქმეა. ფაქტია — ბრაზილია ნახევარფინალშია, მათ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს საჩემპიონო გზაზე. რონალდოს გუნდი მიიწევს წინ, თავად მსოფლიოს № 1 ფეხბურთელმა კი ამ თამაშში თავი ვერაფრით გამოიჩინა, თითქოს ფეხებზე ქვები ეკიდაო — წერს „პარიზიენი".

მანამდე კი „სტად დე ფრანსზე" მეორე ოფიციალური მატჩი გამართა საფრანგეთის ნაკრებმა. კიდევ ერთი ევროპული დერბი იტალია — საფრანგეთი. მატჩი, რომლის პროგნოზისგან ყველა თავს იკავებდა და მხოლოდ თამაშის დღეს აქა-იქ გამოჩნდა ვარაუდები გუნდების შანსის შესახებ. 51:49 — ფრანგთა სასარგებლოდ. ეს ოდნავი უპირატესობაც მხოლოდ და მხოლოდ შინ თამაშის ფაქტორმა განაპირობა. ავტობუსით სტადიონზე მიმავალ 9 ჟურნალისტს შორის ვატარებ ექსპრეს-გამოკითხვას — ვინ გაიმარჯვებს, ოთხს ფრანგების სჯერა, ხუთმა ხელი გაასავსავა — არ ვიცი, ყველაფერია მოსალოდნელიო.

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ რამდენიმე სტატისტიკურ ცნობას ამ ორი ნაკრების შეხვედრების ისტორიიდან, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ 1910 წელს იღებს. იმ დროიდან მოყოლებული ნაკრებთა დონეზე გაიმართა 30 მატჩი, უპირატესობა „სკუადრა აძურას" მხარესაა — 17 მოგება, 6 დამარცხება, თითქმის ორჯერ მეტი გატანილი გოლი. მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ სტადიაზე გუნდები 3-ჯერ შეერკინენ ერთმანეთს. პირველად, 1938 წელს საფრანგეთშივე, იტალიამ იმარჯვა. 1978 წელს არგენტინაში ისევ იტალიამ იძალა, 1986 წელს მექსიკაში კი ფრანგებმა, როგორც იქნა, რევანში აიღეს. გავიხსენოთ, ვინ იყო საფრანგეთის ნაკრების იმჟამინდელ დიდ გუნდში: პლატინი და ტიგანა, ფერნანდესი და ამორო, ბატისტონი და სხვანი. სხვათა შორის, მიშელ პლატინი წინა, წაგებულ მატჩშიც მონაწილეობდა.

...პრესცენტრში ჩვენს ცნობილ ტელეჟურნალისტს დავით ქლიბაძეს ვხვდები. აღშფოთებულია: მეექვსე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვარ და რასაც ფრანგები ჟურნალისტებს უკეთებენ, მსგავსი არსად მინახავს. სრული განუკითხაობაა. გვაწერინებენ ამ განაცხადებს და მგონი მაშინვე სანაგვეში ყრიან. მე კარგი, ნაცნობობა მშველის, მაგრამ ესაა საქმე?

საუბარში რუსი კოლეგა ჩაგვერია — პრეს-ლოჟაში ადგილი რომ მიიღო, ფრანგი უნდა იყოო. იმასაც გეტყვით, რომ აქ დიდი აურზაური გამოიწვია უხუცესი რუსი საფეხბურთო მიმომხილველის ოლეგ კუჩერენკოს წერილმა ფიფას საარაფერი, სულ ბოლოს ერთ ახოვან, ორმეტრიან ზანგს უარი რომ სტკიცეს — ისეთი აყალმაყალი ატეხა, მუჯლუგუნები ისე აამუშავა, რომ ყველა განერიდა და, რომ იტყვიან, „დახლთან" მიუშვეს. ვერაფერიც ვერ მიიღო.

მე კი ამჯერად შედარებით ნაკლებად „გამიმართლა" — სტადიონის ტრიბუნიდან ამ მატჩს მხოლოდ 75 წუთი ვუყურე.

მეოთხედფინალებში ყველაზე პრინციპულ ამ მატჩს ორივე გუნდის ფეხბურთელებისა და მწვრთნელთა სიტყვიერი „მოთელვა" უსწრებდა. აი, ზოგი გამონათქვამი.

*ჯანლუკა პალიუკა:* საფრანგეთი ფავორიტია. თამაშს უბრძოლველად არ დავთმობთ;

*კრისტიან ვიერი:* ჩვენთვის საფრანგეთი დაბრკოლება არ არის. უნდა მოვიგოთ. ყოველდღე ხომ არ გვეძლევა შესაძლებლობა, ვითამაშოთ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში. ჩემი ოპონენტი ზიდანი მსოფლიოში საუკეთესო პლეიმეიკერია. უნდა გავუმართლო იმედები ჩეზარე მალდინის, რომელმაც პირველი ნაკრების კარი გამიღო.

*ფაბიო კანავარო:* საფრანგეთს ორი პლუსი აქვს — საკუთარი მოედანი და მაყურებელი — ისინი ვალდებულნი არიან ითამაშონ აგრესიულად და მხოლოდ შეტევაზე იფიქრონ. ჩვენი შანსიც აქ არის. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. 7 ფრანგი სერია A-ში თამაშობს. ამ მატჩს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

*დინო ბაჯო:* ჩვენი შანსი კონტრშეტევაშია. საფრანგეთი ძალზე ძლიერი გუნდია — მათ ხომ ზიდანი ჰყავთ.

*ენრიკო კიეზა:* დღეს მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი ზიდანია (მაშ რონალდო?), საუკეთესო მცველი კი ლილიან ტურამი. თამაში ძნელი იქნება. ჩვენ კარგი მოტივაცია გვაქვს გამარჯვებისთვის.

*პაოლო მალდინი:* ცხადია, ზიდანის დაბრუნება ფრანგების შანსს ზრდის. ის უეჭველად პირველი ფეხბურთელია და პერსონალურ მეურვეობას საჭიროებს. მაგრამ ღვთის წყალობით ჩვენ გვყავს ფეხბურთელი, მისი თამაშიდან გამოთიშვა რომ შეუძლია — ეს დინო ბაჯოა. შანსები თანაბარია.

*ჩეზარე მალდინი:* დღეს კარგ მატჩს უნდა ველოდოთ. ჩვენ მზად ვართ გამარჯვებისთვის. ნორვეგიასთან მოგება დამაჯერებელი იყო, ეს კი არც ისე ცუდი გუნდია. რისკზე წასვლას არ ვაპირებთ.

*ლილიან ტურამი:* ზიდანით და მის გარეშე ჩვენი გუნდი სხვადასხვაა. ჩვენ გავიმარჯვებთ.

*ემანუელ პეტი:* ჩვენი შანსი რომ გაცილებით უკეთესია, ყველამ ვიცით. მაგრამ პარაგვაის მაგალითის დავიწყება არ შეიძლება.

*ვინსენ კანდელა:* დამატებით დრომდე საქმე არ უნდა მივიყვანოთ. მე ამ კონკრეტულ მატჩში ფრანგებმა უკეთ ითამაშეს და ამდენად ნახევარფინალის საგზურიც სამართლიანად მოიპოვეს. ფინალში მათი გასვლის შანსიც ძალზე მაღალია, კენჭისყრამ ხომ მათ წისქვილზე დაასხა წყალი.

ფრანგული პრესა — ყველა ჯურისა და მიმართულების — ამ მატჩზე წერას პირველივე გვერდიდან იწყებს. „ეკიპმა" მას მთელი რვა გვერდი დაუთმო. მარტო სათაურების გაცნობითაც კი იოლად მიხვდებით გამოქვეყნებული მასალების შინაარსს: „ემოციების ზღვა", „დაუსრულებელი ნოლი", „ოჰ, ჯორკაეფ", „ზიდანი შველაა", „ფაბიენ ბარტეზი — მხსნელი", „ჯორკაეფი — ყველაზე დიდი იმედგაცრუება" და მრავალი სხვა.

ვუბრუნდებით ისევ „ეკიპს". მატჩი ოთხი ვარსკვლავით შეფასდა. ორივე გუნდის მოთამაშეებმა დაახლოებით თანაბარი ქულები მიიღეს; ფრანგებში ლიდერი პეტია — 7,5 ქულა; ყველაზე დაბალი 4,5 ქულა მიიღო იური ჯორკაეფმა. იტალიელთა გუნდში პირველი ნომერია კანავარო 7,5; დელ პიერომაც 4,5 ბალი დაიმსახურა.

ზეპ ბლატერმა, ფიფას პრეზიდენტმა ასეთი კომენტარი გაუკეთა მატჩს. „ფეხბურთი შედგა. დღეს სამართალმა იზეიმა — გაიმარჯვა უძლიერესმა. Bravo la France!"

დაბოლოს, ჯორკაეფი და კანდელა, კანავარო და კოსტაკურტა მატჩის შემდეგ დოპინგ-კონტროლზე მიაბრძანეს. დღემდე ამ მხრივ ყველაფერი კარგად მთავრდებოდა.

ბრიტანულ „სანს" უფრო გაუმეტებია ქულები, მაგრამ შეფასებაში სხვაობაც იგრძნობა.ასე მაგალითად: პალიუკა იმსახურებს 8,1; მისი ფრანგი კოლეგა კი მხოლოდ 6; პეტი ეკიპელ ჟურნალისტებთან ლიდერია, ინგლისელები კი მხოლოდ 6 ქულას უწერენ. ყველაზე მაღალი შეფასება მოედანზე მყოფთაგან დაიმსახურა პაოლო მალდინიმ — 9; ყოველ შემთხვევაში, რაც მატჩები მინახავს ამ ფეხბურთელის მონაწილეობით ეს ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გაზეთს ოცნების გუნდში შეჰყავს ლილიან ტურამი და წერს, რომ ის დღეს ვარსკვლავია, სუპერვარსკვლავობამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩაო.

კიდევ ერთ გაზეთს მოვუხმოთ „პარიზიენს". აქაურ ჟურნალისტებს ძალზე მოეწონათ ტურამი და მარსელ დესაი (8-8 ქულა); ზიდანს მხოლოდ 6,5 ქულა დაუწერეს, ჯორკაეფს კი 5,5 (მოკლედ, იურის შეფასებაში აზრთა ერთსულოვნებაა). „ტურამი — ეს მწვერვალია" — აქებს გაზეთი ფრანგთა მე-15 ნომერს და აღნიშნავს, რომ ფრანგთა პრობლემა შეტევაშია. მათ კარში 9-ჯერ დაარტყეს, კარის მიმართულებით კი 12-ჯერ (იტალიელებმა შესაბამისად 3-3-ჯერ), 13-ჯერ მოაწოდეს კუთხური (იტალიელებმა მხოლოდ 2-ჯერ).

და კიდევ დიდხანს იქნება ამ მატჩის გამო აჟიოტაჟი.

გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# მატჩი მესამე ადგილისთვის

FRANCE 98

ჩემპიონატი მთავრდება. რაღა დარჩა?

ოთხიოდე თამაში. მაგრამ ეს ოთხიოდეა, კაცს რომ გულს უხეთქავს. თუმცა, ამ ოთხიდან ერთი, მატჩი მესამე ადგილისთვის (ასე ჰქვია ოქმებსა და ქაღალდებში დამარცხებულ ნახევარფინალისტთა შეხვედრას), ყოველთვის სულელურია ხოლმე. უეფა დიდი ხნის მიხვედრილია იმას, დიდი შეჯიბრის ნახევარფინალისტი ისე არ უნდა დაამცირო, რომ რაღაც სულელურ თამაშში კიდევ უფრო სულელური მედლებისთვის საბრძოლველად გამოიყვანო მოედანზე.

რა უაზრობაა.

მაგრამ უაზრობა გრძელდება და ახლა ქომაგებმა არ იქნება, არ გაიხსენონ ყველა ის ყოვლად. სულელური „მატჩი მესამე ადგილისთვის“. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინა დღით რო იმართება ხოლმე. ამ მატჩს ერთადერთ შემთხვევაში აქვს ხოლმე სერიოზული დატვირთვა, როცა მესამე ადგილისთვის მებრძოლნი იმგვარად საშუალო გუნდები არიან, რომ დიდ პატივად უჩანთ ეს საქმე — მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილი.

ისე იყო ოთხი წლის წინათ ამერიკაში, როცა მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს შეებნენ დანჩო ლეჩკოვის მოტვლეპილი თავის შარავანდედით გაბრწყინებული ბულგარელები და სუპერსაშუალო ჯიგრის, სულის და ოსტატობის ხორცშემსხმელი შვედები. თითქოს ბრძოლა ფიცხელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შვედურმა სკოლამ ხიხოთა ლაშქარს 40 წუთში მოუთავა ხელი და ოთხი ბურთიც გაუტანა. თითქოს, ბულგარელებს უნდა ებრძოლათ, მაგრამ რის ომი, რა ომი? მეოთხე ხომ ისეთივე საპატიო ადგილია, როგორც მესამე? ამიტომ თამაში, დიდად არ გამოვიდა და ვერც გუნდების თანაბარმა ძალამ უშველა საქმეს. შვედები მაინც შვედები არიან, წესი, რიგი, მთელი ამბავი და რამე. გიჟმაჟ ბოლღარებს კი აბა ვინ გაუბედავდა რამეს? ნახევარფინალი უკვე ზღაპრული მიღწევა იყო.

ახალი საფეხბურთო დროის ყველაზე დიდი და ღირსეული „მატჩი მესამე ადგილისთვის“ კი მიუნხენში შედგა, ოლიმპიურ სტადიონზე. პოლონეთის ბრწყინვალე ნაკრებმა 1:0 მოუგო მარიო ზაგალოს (ისევ ეს ზაგალო!) მიერ გაწვრთნილ ჯაჯგურა ბრაზილიელებს. პოლონეთი დიახაც თავდაუზოგავად იბრძოდა ამ ჩემპიონატში და ეს ადგილიც (მესამე) თავისთვის საპატიოდ და ღირსეულად მიიჩნია, მით უმეტეს, რომ მანამდე პოლონურ ფეხბურთს სადღაც ბნელ ადგილებში ეძინა. კარგი იყო 1978 წლის მესამეადგილოსანთა შეხვედრაც ენცო ბეარზოტის იტალიელებსა და ახირებულ კლაუდიო კუტინიოს ბრაზილიელებს შორის. ის შეხვედრა ბრაზილიელებმა მოიგეს 2:1. დასამახსოვრებელი კი ის იყო, რომ ორმა ბრაზილიელმა ნელინიომ და დირსეუმ ლამაზი შორეული დარტყმებით ჩაუსვეს ბურთები დინო ძოფს. ხმელი ფოთოლიო, ესო, ისო, მთელი ამბავი ატყდა მე კი მაინც ის დამამახსოვრდა, რომ ნელინიოს საჩვენოდ ძალიან გრძელი სახელი და გვარი ჰქონდა — მანუელ რესენდედე მატოშ კაბრალი.

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ საინტერესო „მატჩი მესამე ადგილისთვის“ აღარ გამართულა.

ერთი მხრივ, ამის მიზეზი ის თუ იყო, რომ 1974-78 წლების ჩემპიონატებზე პლეი ოფები არ იყო, არამედ მხოლოდ A და B ჯგუფები, სადაც ოთხი ქვეჯგუფის ორ-ორი საუკეთესო გუნდი ნაწილდებოდა ოთხ-ოთხად. A და B ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები ფინალში ხვდებოდნენ ერთმანეთს, მეორეადგილოსნები კი „მატჩში მესამე ადგილისთვის“. ეგებ ტკივილი, სინანული და იმედგაცრუება მაშინ იმდენად საგრძნობი და გადამწყვეტი არც იყო.

1974 წელს პოლონეთმა იგივე შემადგენლობა გამოიყვანა „მატჩში მესამე ადგილისთვის“, როგორც გერმანელთა წინააღმდეგ უკანასკნელ და გადამწყვეტ შეხვედრაში მაინის ფრანკფურტში. განსხვავება ერთადერთ კაცში იყო. ერთხელ შარმახმა ითამაშა, ერთხელაც დომარსკიმ. თითქმის ასევე მოიქცა მარიო ზაგალოც, რომელმაც ორად ორი ფეხბურთელი შეცვალა პოლონელებთან გადამწყვეტი თამაშის შემდეგ. ასე რომ, ეს საკმაოდ სერიოზული საქმე იყო.

დაახლოებით ასე მოიქცნენ ბრაზილიელები და იტალიელები 1978 წელს, თუმცა შეცვლები იტალიელთა მხარეს მეტი იყო, ბრაზილიელებმა კი (აი, გიჟი კუტინიო) ზიკო არ ათამაშეს და მგონი, კიდევ ვიღაც შეცვალეს.

შემდეგ კი დაიწყო დიდი ნახევარფინალების ეპოქა, რომელიც მანამ არ ჩაფლავდა, სანამ იქ შვედეთი და ბულგარეთი არ გაძვრნენ. ის დიადი ეპოქა იყო, ჭეშმარიტად დიადი. ის ფრანგთა დამარცხების დაუვიწყარი სალამოების ჟამი გახლდათ. ის იყო წლები ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისა, რომელმაც არ იკადრა, უფრო კი, სულიერადაც ვერ შეძლო მესამე ადგილისთვის თამაში. არც იყო შესაძლებელი და საკადრისი.



ჩემპიონატი ილევა, სვეტში კი ამ კაცის ფოტო ეგრეც არ დაგვიბეჭდია. აი, მიშელ პლატინი, რომელსაც არასოდეს უთამაშია მატჩი მესამე ადგილისთვის

1982 წლის 8 ივლისს სევილიაში ალბათ, ყველაზე დრამატული, ყველაზე შთამბეჭდავი და ლამაზი ნახევარფინალური მატჩი გაიმართა. თამაში გერმანელებსა და ფრანგებს შორის 3:3 დასრულდა. ჯერ გერმანელები იგებდნენ, მერე ფრანგები. თამაში კი ფრედ დასრულდა და პენალტებში გერმანელებმა იმარჯვეს. ეს იყო გასაგიჟებლად ემოციური თამაში (დღეს მოკლულ დამატებით დროში ოთხი გოლი გავიდა) და ამ საოცარი, გამომფიტავი შეხვედრიდან სამი დღის თავზე საფრანგეთის ნაკრები ალიკანტეს „რიკო პერესის“ მინდორზე გავიდა, რათა ეთამაშა „მატჩი მესამე ადგილისთვის“. ფრანგთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი იყო იმ საოცარი ნახევარფინალიდან. შეცვლებისას კი გამოჩნდნენ ნაცნობი სახეები, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებს არაფერი ჰქონდა დასამტკიცებელი და არაფერი ჰქონდა მოსაგები. ჰოლანდიელებს კი, რა თქმა უნდა, ეამაყებოდათ მესამე ადგილი და გაიმარჯვეს კიდეც — 3:2. ეს იყო პირველი სავარჯიშო „მატჩი მესამე ადგილისთვის“ ახალ დროებაში.

ამას მოჰყვა კვლავ გერმანულ-ფრანგული ნახევარფინალი 1986 წლის ჩემპიონატზე და კვლავ გერმანელთა გამარჯვება, ამჯერად არცთუ მიმზიდველ მატჩში. მანამდე კი, ფრანგებმა ბრიტანელები გამოთიშეს შეჯიბრიდან. და კვლავ ფრანგები, მატჩში მესამე ადგილისთვის და მათ წინააღმდეგ კი არგენტინელთა მიერ ძლეული ბელგიის ნაკრები, რომელსაც ოთხეულში ყოფნა უდიდეს გამარჯვებად უჩანს. ბელგიელებმა ერთადერთი კაცი შეცვალეს, ვერკოტერენის ნაცვლად მომენსი გამოიყვანეს. ფრანგთა გუნდში კი კვლავ ოთხი კაცი დარჩა ნახევარფინალის გუნდიდან. საქმე დამატებითამდე მივიდა, იქ კი ფრანგებმა იმარჯვეს. ჯამში 4:2 და კვლავ წაამხანაგურო თამაში. ეს იყო მექსიკურ ქალაქ პოუებლაში.

და აბა, რა გულით უნდა ეთამაშათ მატჩი მესამე ადგილისთვის იტალიის და ინგლისის ნაკრებებს, რომლებმაც პენალტებით წააგეს თავიანთი ნახევარფინალები არგენტინელებთან და გერმანელებთან. ეს იყო 1990 წელს, როცა იტალია ჩემპიონატს მასპინძლობდა, ინგლისი კი ოცდაოთხწლიანი პაუზის შემდეგ როგორც არასდროს, ისე ახლოს იყო ფინალთან...

ეჰ, გაუთავებლად შეიძლება ამ გუნდების ბედზე ლაპარაკი იმ ჩემპიონატში,. მაგრამ არა მათ „მატჩზე მესამე ადგილისთვის“, რომელიც იტალიამ კი მოიგო, მაგრამ გუნდების მატჩისშემდგომმა ერთობლივმა ფოტომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თავისი არსით ბრინჯაოს შეხვედრები უაზრობაა და მხოლოდ მაშინ უნდა გაიმართოს, თუ ორივე გუნდი მოითხოვს. თავისთავად, სალაღობო და სასეირო თამაშებია, მაგრამ ნახევარფინალების შემდეგ და ფინალის წინ მათი ცქერა ყოველგვარ ემოციასა და საფეხბურთო ფიქრს არის მოშორებული.

ეს თამაშები ძალიან ჰგავს ვარსკვლავთა გასართობ თამაშებს. მეტი არაფერი.

ამიტომ გირჩევთ, მატჩს მესამე ადგილისთვის ნუ უყურებთ. ნუ გამოიქცევით სამსახურიდან, შეგიძლიათ დათვრეთ, შეგიძლიათ აბაზანაში შეხვიდეთ და რეპორტაჟს წყლის ხმაურში უსმინოთ. არაფერი დაგაკლდებათ, რადგან მეორე დღეს ფინალია. ეგებ, ფინალში საერთოდ არ გავიდეს გოლი, მაგრამ მაინც ფინალია.

არ მიყვარს ეს „მატჩი მესამე ადგილისთვის“ და რა ვქნა?

მორჩა და გათავდა.

ახლა კი მარჩიელობაც შეიძლება — ვინ ითამაშებს ამ მატჩს?

ამ ოთხიდან არავის ვუსურვებ. ხალხი აქამდე მისულა, შენ კი... ფუჰ, „მატჩი მესამე ადგილისთვის“.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური წყვილების ფსონებს ადგილზე გაეცნობით

პირველი ტაიმი/სამოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების შეტანის ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ლოკომოტივი
**საბოლოო ადგილი მეექვსე**

1990-93 წლებში გამოდიოდა მერანის, 1993-95 წლებში მერანი-ბაჩოს სახელით
სტადიონი: 26 მაისი — 16.000
1997 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში.
ჩაატარა 30 მატჩი. მოგება — 12. ფრე — 8, წაგება — 10.
ბურთების შეფარდება: 34:37.
რეკორდული მოგება — 3:0. 07.05.98 — მარგვეთი
რეკორდული-წაგება — 0:4. 31.10.97 — დინამო
ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში — გ. გვაზავა 7
ყველაზე მეტი მატჩი A ჯგუფში — გ. კვეტენაძე 29

## 30 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 24 | 4 | 2 | 86:15 | 71 |
| ბათუმი | 30 | 18 | 7 | 5 | 58:19 | 61 |
| კოლხეთი | 30 | 17 | 6 | 7 | 56:27 | 57 |
| ტორპედო | 30 | 15 | 9 | 6 | 51:30 | 54 |
| ოდიში | 30 | 15 | 4 | 11 | 43:51 | 49 |
| ლოკომოტივი | 30 | 12 | 8 | 10 | 34:37 | 44 |
| მერანი | 30 | 13 | 7 | 10 | 39:33 | 39 |
| თხუ | 30 | 11 | 6 | 13 | 35:33 | 39 |
| დილა | 30 | 11 | 4 | 15 | 31:36 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 9 | 9 | 12 | 27:37 | 36 |
| რუსთავი | 30 | 10 | 4 | 16 | 32:41 | 34 |
| სამგურალი | 30 | 9 | 7 | 14 | 31:50 | 34 |
| სიონი | 30 | 10 | 6 | 14 | 49:47 | 31 |
| გურია | 30 | 6 | 9 | 15 | 30:58 | 27 |
| მალაროელი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:59 | 26 |
| მარგვეთი | 30 | 2 | 7 | 21 | 21:75 | 13 |

„მერანს“ დაკლებული აქვს 7 ქულა, „დინამოს“ და „სიონს“ — 5-5

## «ლოკომოტივის» შედეგები მეცხრე ჩემპიონატში

| | შ | ს |
|---|---|---|
| ტორპედო | 0:1 | 1:4 |
| ოდიში | 0:0 | 2:0 |
| ბათუმი | 0:1 | 1:4 |
| კოლხეთი | 1:3 | 0:2 |
| თსუ | 1:1 | 1:2 |
| სიონი | 0:0 | 2:0 |
| მალაროელი | 2:0 | 1:1 |
| მეტალურგი | 2:1 | 2:0 |
| გურია | 2:1 | 2:1 |
| ვიტ ჯორჯია | 2:2 | 2:2 |
| სამგურალი | 2:0 | 0:2 |
| დინამო | 0:0 | 0:4 |
| დილა | 2:1 | 0:3 |
| მარგვეთი | 3:0 | 1:0 |
| მერანი | 1:1 | 1:0 |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| გ. კვეტენაძე | 29 | 1 | 3 | 0 |
| ბარნოვი | 28 | 1 | 5 | 0 |
| ერაძე | 26 | 3 | 7 | 0 |
| ვოლკოვი | 25 | -31 | 0 | 0 |
| ქვარცხავა | 23 | 0 | 1 | 0 |
| ქველაძე | 19 | 0 | 1 | 0 |
| კოტორაშვილი | 18 | 1 | 2 | 1 |
| ბაქრაძე | 17 | 1 | 2 | 0 |
| ზ. არჩვაძე | 16 | 0 | 4 | 1 |
| დაუშვილი | 16 | 4 | 3 | 0 |
| ახალაძე | 14 | 0 | 0 | 0 |
| ყაველაშვილი | 14 | 0 | 3 | 0 |
| ხუციშვილი | 14 | 0 | 0 | 0 |
| გ. გვაზავა | 13 | 7 | 0 | 0 |
| ჟორჟიკაშვილი | 13 | 0 | 1 | 0 |
| ლ. ამბიძე | 12 | 0 | 2 | 0 |
| გოდერძიშვილი | 11 | 6 | 1 | 0 |
| დათუაძე | 11 | 2 | 1 | 0 |
| გამცემლიძე | 10 | 1 | 1 | 1 |
| მესხიძე | 10 | 0 | 0 | 0 |
| ენუქიძე | 9 | 2 | 1 | 0 |
| ზამთარაძე | 9 | 2 | 0 | 0 |
| ვასაძე | 8 | 0 | 0 | 0 |
| დ. კაკუბავა | 8 | 0 | 0 | 0 |
| დიმიტრიშვილი | 6 | 0 | 0 | 0 |
| კ. ჩიგოშვილი | 6 | 0 | 1 | 0 |
| ვ. გაგუა | 5 | 0 | 0 | 0 |
| მიზანდარი | 5 | 0 | 0 | 0 |
| დოლაბერიძე | 4 | -3 | 0 | 0 |
| მაზანაშვილი | 4 | 0 | 0 | 0 |
| ჭიტაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| ცოტაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| ცერცვაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| ი. ხუჯაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| აფციაური | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასპინძელაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 |
| მეტივიშვილი | 1 | -2 | 0 | 0 |

ერთი ავტოგოლი მერანელმა გოგიტაძემ გაიტანა

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

# ლოკომოტივის ოცნება და რეალობა

ერთი ასეთი გამოთქმაა — თამაშს ფეხბურთელები იგებენ, წაგებით კი მწვრთნელი აგებსო. გასულ ჩემპიონატში თბილისის „ლოკომოტივის“ შედეგებს თუ გადახედავთ, ეგებ სხვაგვარადაც იფიქროთ. რატომ? ახლავე მოგახსენებთ, თუმცა აჯობებს ყველაფერს თანამიმდევრულად მივყვეთ.

როცა „ლოკომოტივი“ პირველ ჯგუფში აღზევდა, კლუბის მეპატრონეებს საკმაოდ დიდი აქციები ჰქონდათ. გასაკვირი არც გახლდათ. გუნდმა ისეთი რიხით ჩაამთავრა მეორე ჯგუფის გათამაშება, რომ საამისო განცხადებების საბაბი ნამდვილად ჰქონდათ.

ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. ორი წლის წინათ „ლოკომოტივის“ ახალ პრეზიდენტს, გიორგი ქინქლაძის მამას, რობიზონ ქინქლაძეს გუნდის შექმნის იდეა მოუვიდა. აბა, უკეთესს რას მოიფიქრებდა. იგი რკინიგზის დეპარტამენტს მიადგა, უფროსს, ბატონ აკაკი ჩხაიძეს ჩანაფიქრი გაუმხილა — ცოტა ჩემი, ცოტაც თქვენი და ხეირიანი გუნდი ჩამოვაყალიბოთო. აკაკი ჩხაიძე დათანხმდა. ქინქლაძემ თავის მეგობარს, ყოფილ ფეხბურთელ კობა ჟორჟიკაშვილს უხმო, მერე მოთამაშეების საძებრად ქუჩა-ქუჩა გაიარ-გამოიარეს, ძველი ნაცნობებიც გაიხსენეს და ერთად შეიკრიბნენ. აკაკი ჩხაიძემ გუნდს დიღომში „ლოკომოტივის“ ბაზა გამოუყო, ვაკეში, „26 მაისის“ სტადიონზე, კი ოფიციალურად ითამაშეთ, ოღონდ მორაგბეებს თავად მოელაპარაკეთო — უთხრა ქინქლაძეს. ჟორჟიკაშვილმა ბიჭები რამდენიმე კვირა ავარჯიშა, გუნდი პირდაპირ მეორე ჯგუფიდან ჩაერთო ეროვნულ ჩემპიონატში და საწადელსაც იმავ წელს მიაღწია — პირველ ჯგუფში გადავიდა. უკეთესი თემა რაღა იყო, რობიზონ ქინქლაძე და კობა ჟორჟიკაშვილი უმალ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცნენ. რას გეგმავთთო, რომ ჰკითხავდნენ, მცირეოდენი პაუზის შემდეგ პასუხობდნენ — ევროპაში სათამაშოდ ვიბრძოლებთო. რას ერჩი, მიზანი კარგი იყო, თუმცა...

უკვე პირველჯგუფელი „ლოკომოტივი“ ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილება არაფერი მომხდარა, მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდნენ, მწვრთნელი ისევ კობა ჟორჟიკაშვილი გახლდათ, თანაც ისე, რომ ფეხბურთელობასაც ითავსებდა. მოვიდა შარშანდელი აგვისტოც, მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. მიუხედავად დიდი სურვილისა, „ლოკომოტივი“ ზედიზედ მარცხდებოდა, საწყის ექვს ტურში რკინიგზელებმა ძალიან მოკრძალებული შედეგი არჩვენეს. როგორია, სულ ორჯერ ითამაშეს ფრედ, დანარჩენი — წააგეს. ორი ქულა, დამეთანხმებით, ასეთი ამბიციების მქონე გუნდისთვის ერთობ შეუფერებელია. ჰოდა, რობიზონ ქინქლაძეც დაფიქრდა, ასე ვერ გავფრინდებითო და გუნდის მწვრთნელად „მერანიდან“ წასული თემურ მახარაძე მიიწვია. ნელ-ნელა „ლოკომოტივს“ ახალი მწვრთნელის ხელი დაეტყო. მიუხედავად მახარაძისთვის არასასურველ ფეხბურთელთა კონტიგენტისა, მან შეძლო და გუნდი, ასე ვთქვათ, კრიზისიდან გამოიყვანა. რკინიგზელები თამაშს თამაშზე იგებდნენ. პირველ წრეში „ლოკომოტივმა“ მახარაძის ხელმძღვანელობით ერთადერთხელ, ისიც ეროვნულზე, „დინამოსთან“ წააგო. ხალხი უკვე სერიოზულად დაფიქრდა, რკინიგზელთა გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა, თუმცა...

დაკარგულის ანაზღაურება ველარ მოხერხდა. „ლოკომოტივისგან“ კარგი თამაშის მეტს აღარავინ არაფერს ელოდა, ევროსაგზურებამდე შორი იყო. გასავარდნ ადგილებთან კი თბილისელებს აღარაფერი ესაქმებოდათ. ეს ყოველივე მეორე წრის შუაში უფრო თვალსაჩინო გახდა. მერვე ადგილს ჩვეულმა გუნდმა თავი ერთით დაგვამახსოვრა — გამართული ტაქტიკით. ტაქტიკით, რომლის ხარჯზეც „ლოკომოტივმა“ ბევრი მეტოქე დაამწუხრა. ტექნიკა-ფიზიკურ მომზადებაზე კი შეგნებულად არაფერს ვამბობ, რადგან „ლოკომოტივი“ ამ მხრივ არავისგან გამორჩეული არ გახლავთ. არც შემსრულებელი ჰყავთ ისეთი, ვინმე გააოცოს, ფიზიკური სიძლიერითაც ვერ დაიტრაბახებენ მახარაძის ბიჭები...

მთელი სეზონის მანძილზე „ლოკომოტივს“ ერთი, არცთუ უმნიშვნელო პრობლემა აწუხებდა — სტადიონი, რომლის საფარიც უფრო მოასფალტებულ გზას ჰგავს, ვიდრე ფეხბურთის სათამაშო ალაგს. საკმარისია, ფეხბურთელმა ფეხი ოდნავ არასწორად გადადგას და ტრავმა ზედა აქვს. აღარაფერს ვამბობ ბურთის ხეირიანად გაგორებაზე. ვაკეში თამაშისას კი ბევრი კურიოზული შემთხვევაც მომხდარა, აბა, სხვას ვერას უწოდებ იმ ფაქტს, როცა ქვეყნის უძლიერეს ჯგუფში მოთამაშე ფეხბურთელი გაგორებულ ბურთს ფეხს აცილებს. ორიოდ სიტყვით ასე შეიძლება ლოკომოტიველთა სტადიონის შეფასება. სწორედ ამის გამო იყო, ერთ ხანს რობიზონ ქინქლაძე და ქართველი მორაგბეები რომ დავობდნენ. სტადიონის ჩვენია და ჩვენ ვითამაშებთო, ამბობდნენ ოვალურბურთიანები. ქინქლაძე კი — „26 მაისის“ სარბიელი რკინიგზის დეპარტამენტს ეკუთვნის და ენას კბილი დააჭირეთ, თორემ სულ გაგყრით აქედანო, იმუქრებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ, ვაკეში რაგბიცაა და ფეხბურთიც, მაგრამ, მგონი, ჯობს ის სტადიონი ერთს დარჩეს, რადგანაც წარმოუდგენელია, ერთ გაზონზე სპორტის ორი, სრულიად განსხვავებული სახეობის წარმომადგენლები თამაშობდნენ.

მეორე წრის დასაწყისში „ლოკომოტივი“ კიდევ ერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა — პრეზიდენტი რობიზონ ქინქლაძე გუნდიდან წავიდა. მიზეზი? დღევანდელი ყოფისთვის ჩვეულებრივი — იგი ამბობდა, რკინიგზის დეპარტამენტმა გუნდზე სულ აილო ხელი, კეთილი ინებონ და ცოტა ისინიც შეგვეწიონო. აკაკი ჩხაიძე დუმდა, ქინქლაძეც ადგა და წავიდა.

„ლოკომოტივის“ პრეზიდენტობა თავად რკინიგზის დეპარტამენტის შეფმა შეითავსა, მაგრამ დროებით. ქინქლაძეს გულმა აღარ გაუძლო, ისევ გუნდში დაბრუნდა, ეტყობა, შეთანხმდნენ. აქამდე უპატრონოდ დარჩენილმა „ლოკომოტივმა“ კი პრინციპული თამაშები წააგო, გუნდს ფული არ ჰქონდა, ბიჭებს საჭმელს ვერ აჭმევდნენ. ქინქლაძე მეორე წრის მეექვსე ტურის მატჩის წინ მიბრუნდა გუნდში. ჰოდა, ფეხბურთელებსაც სტიმული მიეცათ, რამდენიმე ტური ისევ წაუგებლად, თანაც ქულადაუკარგავად ითამაშეს, უცვლელი ჩემპიონი კი ვაკეში ფრეს დააჯერეს.

საბოლოოდ „ლოკომოტივი“ მეექვსე ადგილზე დაფუძნდა. მავანი იტყვის, ეს შედეგი რკინიგზელთათვის მაქსიმუმიაო, მაგრამ, პირადად ამ აზრს ვერ დავეთანხმები. ამის თქმის უფლებას კი თემურ მახარაძის დიდი პროფესიონალიზმი და ინტელექტი მაძლევს. მან ჯერ კიდევ „მერანში“ მუშაობისას დაამტკიცა, რომ საქართველოში ერთ-ერთი უპირველესი ფეხბურთის სპეციალისტია. ნუ დაგავიწყდებათ, თემურ მახარაძემ ეს ყველაფერი ისე გააკეთა, რომ მის გასაწვრთნელ გუნდს ერთი პირობა დიდი ფინანსური კრიზისი ჰქონდა. „ლოკომოტივი“ არ ღირსებია შეკრებას, ნორმალურ საფეხბურთო ინვენტარს, სოლიდურ პრემიალურებს, ხელფასებს. მახარაძემ მიაღწია და გუნდს ის ფეხბურთი ათამაშა, როგორიც თავად სურდა, რისი ჩანაფიქრიც ჰქონდა.

ახლა ამ სტატიის პირველი აბზაცი გაიხსენეთ და დარწმუნდებით, ხანდახან თამაშს, უფრო სწორად, თამაშებს მწვრთნელიც იგებს. იგი შესაფერის გუნდს აყენებს და ყველას უმტკიცებს, რომ მწვრთნელის როლი უმთავრესია ფეხბურთში.

„ლოკომოტივი“ ერთ თვეში ახალ სეზონს დაიწყებს. გუნდმა მომზადება სულ რამდენიმე დღეა, დაიწყო. ამდენად რკინიგზელთა ხელმძღვანელობამ არ იცის, ვისთან მოუწევს საქმის დაჭერა. ამბობენ, გუნდს ბევრი ტოვებსო, მიმსვლელებზე კი არაფერი ისმის.

ამას წინათ „ლოკომოტივის“ ლიბერო ზურა არჩვაძე შემხვდა, რას აპირებ-მეთქი, ვკითხე. გერმანიაში, ალბათ, მეორე ბუნდესლიგაში გადავბარგდებიო. თუ ასე მოხდა, „ლოკომოტივს“ გამოცდილი, ნიჭიერი მცველი მოაკლდება. ამბობენ, გოდერძიშვილის ამბავიც გაურკვეველია, შეიძლება „მერანში“ დაბრუნდესო. კოტორეიშვილიც უცხოეთში აპირებს წასვლას. სხვათა საქმისა ჯერ არ ვიცით, უახლოეს დღეებში მოელება გაურკვევლობას ბოლო.

თბილისის „ლოკომოტივი“ კი იმ გუნდად დარჩება, რომელიც თავის სიტყვას კიდევ იტყვის. მთავარია, რკინიგზის დეპარტამენტი, ეს უდიდესი შესაძლებლობების მქონე სისტემა გუნდისკენ მიტრიალდეს, მცირედით მაინც შეეწიოს ფეხბურთელებს, რკინიგზა ხომ სახელმწიფოა სახელმწიფოში. კარგი იქნება, გუნდს მხოლოდ რობიზონ ქინქლაძის ამარა თუ არ დატოვებენ. „ლოკომოტივს“ დიდი პოტენცია აქვს. რომელი ერთი გუნდი დაიტრაბახებს საკუთარი ბაზით? საკუთარი, თუნდაც მოუვლელი სტადიონით? თემურ მახარაძის დარი მწვრთნელით? არა, „ლოკომოტივმა“ თუ საქმეებიააწყო, ყველამ თავისას მიხედა და სხვათა შემყურე არ დარჩნენ, უკვე მოახლოებულ სეზონში რკინიგზელთა გუნდი, ალბათ, იმ სურვილსაც აისრულებს, გასული ჩემპიონატის დასაწყისში რომ ჰქონდა.

**ბობა ინასარიძე**


გუნდისთავი და ლიდერი გიორგი კვეტენაძე (№7)

ბადრი კოთოლაძის ფოტოები


„ლოკომოტივის“ მშველელი თემურ მახარაძე



# ბევრი დაუკარგავთ, ცოტა კი შეუძენიათ



იუზა კაციტაძე

გლადბახიდან

ამხელა გზაზე დამდგარს, ცხადია, დიდი იმედი მქონდა, რომ გუშინ საღამოსთვის ლომელში ვიქნებოდი და იქაურ ამბებს, ჩვენებურთა თუ ბელგიელთა სამზადისზე წვრილ-წვრილად მოგახსენებდით.

ვიცი, დღევანდელ „სარბიელში" ამ რეპორტაჟს ბევრი მოიძიებდა, ვისთვისაც ქუთაისის „ტორპედოს" ანუ ინტერტოტოს თასზე საქართველოს ერთადერთი წარმომადგენლის ბედი სულერთი არ არის.

ისე კი მოხდა, რომ მაშინ, როცა გაზეთის ამ ნომერს სტამბა ჩამობეჭდავდა დღევანდელი მატჩის ადგილზე, ლომელში ვიქნებოდი, მაგრამ ეს თავისთავად გვიანი დროა ინფორმაციის მოსაპოვებლად და დაპირებული, სრულფასოვანი რეპორტაჟის გამოსაგზავნად.

აქამდეც გაუწყეთ, ანტვერპენში 1 ივლისს გაფრენილ ქუთაისურ დელეგაციას რამდენიმე კაცი ჩამორჩაო და მათ შორის მეც გახლდით. ჩამორჩენაში კი ის იგულისხმებოდა, რომ მე და ჩემი 3 თანამგზავრი გუშინ საღამოს პირდაპირ ლომელში უნდა ჩავსულიყავით. ფრანკფურტის აეროპორტში გზისგამკვლევიც დაგვხვდა, მაგრამ ჩვენებურთა ადგილსამყოფლამდე ჩაღწევა მაინც დაგვიგვიანდა, რადგან ლომელი ბელგია-ჰოლანდიის საზღვართან ახლოს რომაა, უახლოესი სარკინიგზო სადგურიდან კარგა ხნის სავალი მანძილითაა მოშორებული.

ასე რომ რედაქციასთან შეხმიანება გერმანიიდან, ბელგიის მოსაზღვრე მიონხენგლადბახიდან მომიხდა და ამ დროისთვის რისი გაგებაც შევძელი ესეც ჩვენი დამხვდურის საშუალებით.

მას შემდეგ, რაც შარშანდელი „ლომელის" ამბებს გაგაცანით, ჩვენებურთა მეტოქე დიდად არა, მაგრამ მაინც შეცვლილა.

ბელგიელები სამ ფეხბურთელს დათხოვებიან და სამაგიეროდ ჯერ მხოლოდ ორი შეუძენიათ. ინტერტოტოს თასზე ბელგიის მეორე (რეიტინგით პირველ) წარმომადგენელ „ჰარელბეკში" გადასულა წინა სეზონში 5 გოლის გამტანი ჰოლანდიელი ნახევარმცველი რენე კლომპი, „ვესტერლოში" — მცველი ფრანკ მიხელსი და „მეხელენში" ერთთავად სათადარიგოთა სკამზე მჯდომი მეკარე გერტ დავიდტსი. ამათ სანაცვლოდ „ლომელს" ბელგიელი მცველი დომინიკ ვან მაელე შეუძენია ქვემოდივიზიონელი „სერკლ ბრიუგედან" და კიდევ ბრაზილიელი ნახევარმცველი ნივალდო ვიეირა ლიმა დაუმატებია „გენტიდან".

„ლომელს" მწვრთნელიც გამოცვლია, მგონი ადრეც გვითხრა ყოფილმა ბათუმელმა გელა შეყილაძემ „ლიერსს" ახალი სეზონიდან ვალტერ მეუვსი გაწვრთნისო.

აი, „ლომელის" ახალი თავკაცის შესახებ კი ჯერჯერობით ვერაფერი შევიტყე.

ჩვენებურთა შესახებ კი ეს შევიტყვე, რომ სერიოზულად ტრავმირებული არავინაა და „ტორპედო" ანტვერპენიდან ლომელში გუშინ შუადღისას გადაბარგდა, სადაც მატჩისწინ ბოლოჯერაც ივარჯიშა.

ერთიც, არცთუ ახალი, მაგრამ აქამდე უთქმელი ამბავი: კრასნოდარში ჩასულ ზურაბ იონანიძეს „კუბანის" პრეზიდენტი დაჰპირილი დახვედრია და უკანვე მიტომაც ჩამობრუნებულა. ქუთაისელებმა დროულად, „ერებუნისთან" პირველ მატჩამდევე მოასწრეს განაცხადში შეყვანა და ბელგიაშიც იახლეს.

მატჩი თბილისური დროით 17 საათზე დაიწყება და დანიელი არბიტრი იორგ ლარსენი იმსაჯებს. სხვა ამბები და მატჩის რეპორტაჟი ხვალინდელ „სარბიელში" იყოს.

მერანი ავჭალელთა დაცვის ბურჯი რომეო გოგიტაძე „დინამოს" მოსურვებია

# მერანი საჯინიბოს ათხელებს

აბაზაძე და კაპანაძე რომ ისევ „გავეტერინარდნენ", უკვე გაუწყეთ. ახლა დავითაშვილის ბულგარულ ვოიაჟზეც გეტყვით. გუნდისა და ფეხბურთელის ინტერესებიდან გამომდინარე, აბრეზა ბულგარეთში იყო გასასინჯად ჩასული, მაგრამ როგორც ამბობენ, ტრავმამ შეუშალა ხელი და მისი საბოლოო ბედიც ჯერ გაურკვეელია.

როგორც ჩანს, მოლაპარაკებები მიმდი-



რომეო გოგიტაძე

ნარეობს „მერანსა" და „დინამოს" შორისაც. მათი საიდუმლო სერობის მიზეზი კი რომეო გოგიტაძე უნდა იყოს. გადავა თუ არა გოგიტაძე ქვეყნის უმთავრეს გუნდში, ეს დროის საკითხია. ჯერჯერობით „დინამოს" მესვეურები ყოველივეს საიდუმლოდ შენახვას ამჯობინებენ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ბათის რთული დროება

ფეხბურთში მეკარე რომ მნიშვნელოვანი ფიგურაა, ამას ახსნა არ სჭირდება. კარგი მეკარე ნახევარი გუნდიაო, იტყვიან. როცა ზურგს გამოცდილი მეკარე გიმაგრებს, გულს შიში არ გაგეკარება, თამამად ირჯები და მომხდურსაც იოლად უსწორდები — ეს სიტყვები ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მცველს ეკუთვნის.

ჩვენში კარგი მეკარეები კი არიან, მაგრამ შეგიძლიათ ხელაღებით თქვათ, ეს ბიჭი ევროპულ თუ მსოფლიო გრანდის კარს დაიცავსო, გვკითხა ერთხელ ერთმა გამორჩეულმა მწვრთნელმა. ვერ იტყვითო, კითხვას თავადვე უპასუხა, რადგან ჩვენს მეკარეებს ოსტატობა და კლასი აკლიათო.

ძალიან მომთხოვნი იყო ის კაცი. ნიჭიერი მეკარე, სახელგანთქმულებზე რომ არაფერი ვთქვათ, არაერთი გვყოლია, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენი დაბალი დონის ჩემპიონატმა მათ ზრდას ხელი შეუშალა. ისინი ერთ ადგილს ტკეპნიან და პრინციპულ მატჩებში უკვე შიშით გამოდიან.

დღევანდელ ფეხბურთში არ არსებობს გუნდი, მეკარის მწვრთნელი რომ არ ჰყავდეს. მხოლოდ ჩვენშია საძებარი ასეთი გუნდები. მეკარის მწვრთნელის აყვანა თითო-ოროლას თუ ძალუძს. რომც აიყვანო, სად მოძებნი, სპეციალისტები ერთეულებილა არიან.

და მაინც, იზრდებიან ბიჭები, დახტიან კუთხიდან კუთხეში, ხან მარჯვენივ, ხანაც მარცხნივ და ჩვენც იმედს გვილვივებენ.

მეკარე თავისებური ხასიათის ფეხბურთელია. უფრო მეტიც, თამამად ვიტყვი, უცნაურიც კი. მთელი გუნდი ერთად რომ შეიყაროს, უცნობისთვის, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება მათი ამპლუების გარჩევა. მეკარეებს კი მაშინვე გამოარჩევთ.

მეკარეები ხომ პოტენციური გიჟები არიანო, ამას დაუფარავად აცხადებენ წინა ხაზის მოთამაშეები. არაერთი ჩვენებური მეკარისთვის მიკითხავს, გიჟებს რატომ გეძახიან-მეთქი, პასუხი სხვადასხვაგვარი მიმიღია.

ნიკა ტოგონიძემ მსგავსი კითხვის დასმისას ერთი გაოცებით შემომხედა, მერე გაიღიმა და მითხრა, ხომ გაგიგონია, გიჟს ყველა მისნაირი ჰგონია, თავად არიან ოფიციალური, უსაბუთო გიჟები და ფაქტის მისაჩქმალად ხელს ჩვენ გვადებენო.

დათო გვარამაძე: არა მგონია, გიჟს რამე მიგავდეს, მგონი, ქვების სროლა ჯერ არ დამიწყია. მეც არაერთხელ გამიგია მსგავსი რამ და ალბათ ჩვენი უცნაურობების გამო გვჭირს ყოველივე. მეკარე ხომ მთელი 90 წუთი დაძაბულია, დანარჩენებზე გაცილებით მეტსაც ნერვიულობს.

რამაზ სოლოლაშვილი: თითეულ ვარჯიშზე სულ ცოტა, ასჯერ მაინც გვიწევს გადახტომა და მიწასთან შეხება. გადახტნენ ნახევარჯერ მაინც და მერე ვნახავ, რა ჭკუაზეც დადგებიან. ჩვენ კიდევ კარგად გამოვიყურებით, გიჟები ჩვენ კი არა, თვითონ არიან.

ზურაბ ბათიაშვილი ბავშვური გამომეტყველებით, გულუბრყვილო ღიმილით შემოგვცქერის და ვერ გეტყვით, მე გიჟი ნაღდად არ ვარ, სხვისა კი სხვამ იკითხოს, ამბობს.

სწორედ ბათიაშვილზე გვექნება საუბარი ამ წერილში. ეს ბიჭი რომ მეკარეობს, თსუ-ს ერთ-ერთი მწვრთნელის, ავთო ნებიერიძის დამსახურებაა. უკვე რა ხანია, ზურა ნებიერიძის ზედამხედველობით ვარჯიშობს და რაღაც დონეს თუ მიაღწია, მას უნდა უმადლოდეს.

ბათიაშვილს ერთი ნაკლი აქვს — ჯერ ძლიერ ახალგაზრდაა, გამოუცდელი. მის ზურგს უკან არ დგას წლების პრაქტიკა, რაც ნებისმიერ მეკარეს მეორე სუნთქვას უხსნის.

გამოცდილების გარეშე კი მეკარე იმ ბარტყს ჰგავს, რომელსაც ფრენის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ჯერ ფრთები არ გამაგრებია.

ზურამ ბევრის ალება-გაშვება მოასწროო, ვევრავინ იტყვის. თსუ-სა და თვრამეტწლამდელთა ნაკრებში ჩატარებული მატჩები კი იმ უგრძესი გზის დასაწყისია, რომლის გავლაც მას აუცილებლად მოუწევს. ამაში კი ეჭვი არავის ეპარება. ბათი ერთობ მონდომებულია, ვარჯიში არ ეზარება და ნიჭიც ხელს უწყობს. აქვს სწრაფი რეაქცია, რომელიც მაინც დახვეწას და უმაღლეს დონემდე სრულყოფას მოითხოვს. პლასტიკურია, არ უჭირს სათამაშო სიტუაციების გაანალიზება და ხშირ შემთხვევაში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მომგებიანია.

კარგად ეხერხება პოზიციების შერჩევა. ბურთის დასაუფლებლად მუდამ ნახტომი არ სჭირდება. აქილევსის ქუსლად გამოსვლებზე თამაში ჩავუთვალოთ, რის დახვეწასაც დიდი ოფლისღვრა სჭირდება. ეს ბათიაშვილს კი არა, ისეთი დონის მეკარეებსაც ეშლებათ, როგორებიც კიოპკე და სუბისარეტა არიან.

დაუვიწყარი იქნება ბათიაშვილის გარჯა ბერძნების წინააღმდეგ. მაშინ ჩვენმა თვრამეტწლამდელებმა შანსი ვერ გამოიყენეს და მეტოქეს ვერ მოუგეს. რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატზეც ბერძნები წავიდნენ.

ეროვნულ სტადიონზე ბათიაშვილი იდგა. არაერთი ძნელი ბურთი მოიგერია. ბერძენ მომხდურებს არაერთხელ წააშენინა თავში ხელი, თავისიანებს კი შეტევისკენ მოუწოდებდა. მეკარის თავგანწირვიდან არაფერი გამოვიდა.

ბათიაშვილს ერთი ხანობა თითქოს ჰოლანდიური „ეინდჰოვენი" იწვევდა, რა თქმა უნდა, სტაჟირებაზე, ახლახანს თითქოს მადრიდის „რეალის" დაინტერესებაც გამოიკვეთა, მაგრამ ზურა „დინამოს" გაჰყვა ტალინში.



ზურაბ ბათიაშვილი გამოსვლებზეც უშიშარია

კარგია, როცა შენით უცხოელი დაინტერესდება, მაგრამ ასაკიც ხომ გასათვალისწინებელია. რა თქმა უნდა, არსებულ წინადადებებზე იგი ფიქრობს, წამდაუწუმ ისეა საქმე, თითქოს საცაა ჩემოდნები უნდა ჩაალაგოს, მაგრამ არა და არ დაადგა საშველი. გამუდმებით ფიქრი კი უარყოფითად მოქმედებს ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელ ბიჭზე.

ბათიაშვილს ჰქონია ჩავარდნები, ტრავმასაც ხელი შეუშლია მისი კარიერისთვის, მაგრამ ახლა ჯანმრთელადაა და თავის იმედიც აქვს.

ახალი სარბიელი, ახალი გუნდი. ხუმრობა ხომ არ არის, ზურა უცვლელ ჩემპიონთა წევრია. ტალინში „დინამოს" ბათიაშვილის გარდა კიდევ ორი მეკარე ახლავს — გამოცდილი ნიკა ჩხეიძე და მასზე ცოტა ასაკოვანი რამაზ სოლოლაშვილი. კონკურენცია, რა თქმა უნდა, კარგია. მუდამ კონცენტრირებული ემზადები, რათა კონკურენტს სძლიო, მაგრამ ძირითადში ადგილის მოპოვებაც საძნელო საქმედ ჩანს.

არადა, სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლება დამღუპველი იქნება ზურასთვის. მას ახლა ყველაზე მეტად სათამაშო პრაქტიკა სჭირდება.

ვნახოთ, რა მოხდება, დაძლევს კი ბათიაშვილი კონკურენციას. თუ ვერა, მაშინ იქნებ „დინამომ" გაანათხოვროს მაინც, ბიჭი მხოლოდ ვარჯიშის იმედად რომ არ დარჩეს.

ნიჭიერი მეკარე გვეზრდება, სამუშაო „მასალა" არის და დაუდევრობით ისე არ მოგვივიდეს, მერე სანანებლად დაგვრჩეს.

**მამუკა კვანტალიანი**

ლეგიონი „სკონტოს" ქართველი მცველი მამუკა წერეთელი დაეთხოვა და ახლა „ალანიაში" გადასვლას აპირებს

# სკონტო წელსაც ჩემპიონთა ლიგას უმიზნებს

ლატვიის ჩემპიონატში „სკონტოს" უცვლელ ჩემპიონობას უკვე ყველა შეეჩვია. ალბათ, წელსაც ანალოგიური სიტუაცია იქნება — მესამე წრის წინ რიგელები კვლავ ლიდერები არიან და ოთხი ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ „დინაბურგს".

გემახსოვრებათ შარშან, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში რიგის „სკონტოს" შთამბეჭდავი გამოსვლა „ბარსელონას" წინააღმდეგ. მაშინ კატალონიელებთან გამართულ შეხვედრებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო რიგელთა ქართველი ლეგიონერი ლევან სილაგაძე. ჩემპიონთა ლიგაში საასპარეზოდ ბალტიისპირელებს წელს სერიოზული მიზნები დაუსახავთ. ხვალიდან გუნდი ფინეთში გაივლის ათდღიან შეკრებას. ჰელსინკში „სკონტო" მამუკა წერეთლის გარეშე გაემგზავრება, რომელსაც ამ დღეებში ვლადიკავკაზურ „ალანიასთან" უნდა გაეფორმებინა კონტრაქტი. თუმცა გუნდში შევსებაცაა. „სკონტომ" ფინეთში ყოფილი ჰომბურგელი რიმკუსი და ალთქმული მიწიდან ახლახანს დაბრუნებული ზემლინსკი იახლა.

**პაატა კვანტალიანი**

# კოსტავა და გუნთაძე რონალდოს ოუენს ამჯობინებენ

მსოფლიოს ჩემპიონატი აპოგეას მიუახლოვდა. მოულოდნელობანიც საკმაოდაა და ისეთი რამეებიც ხდება, რასაც წინასწარ ველოდით კიდეც. გაივლის ათიოდე დღეც და ეს ჩემპიონატიც ისტორიას ჩაბარდება, ისტორიას, რომელმაც მერე მაგალითი უნდა მოგვცეს. ამიტომაც ვხვდებით ცნობილ ქართველ საფეხბურთო მოღვაწეებს და შეძლებისდაგვარად ვაფიქსირებთ მათ შეხედულებებს საფრანგეთი 98-ის შესახებ. ამჯერად რესპოდენტებად თამაზ კოსტავა და ოთარ გუნთაძე ავირჩიეთ.

თამაზ კოსტავა: „ჩემპიონატმა გარკვეულწილად გაამართლა ჩემი მოლოდინი, ვთვლიდი, რომ ეს იქნებოდა მეტად დაძაბული პაექრობა, რომელშიც ჩემპიონის ტიტულს. უძლიერესი გუნდები შეეცილებოდნენ ერთმანეთს. ასეც მოხდა, მაგრამ რაიმე ტაქტიკური სიახლე მას არ შემოუთავაზებია. გუნდები ჩვეულ, ტრადიციულ სტილში აგრძელებენ თამაშს და საერთოდ ფეხბურთი იმ სტადიამდე განვითარდა, რომ რაიმე სიახლის შემოტანა თითქმის შეუძლებელია. ჩემპიონატმა, ასეა თუ ისე, ახალი სახელებიც შემოგვთავაზა, თუნდაც ინგლისელი მაიკლ ოუენი ვთქვათ. ამ ბიჭს დიდი მომავალი ელის. 18 წლისა თუ ამ დონეზე ბურთაობს, სიმწიფის ასაკში რაღას იზამს. ამასთან ერთად თავიანთი მაღალი ოსტატობა დაამტკიცეს გაბრიელ ბატისტუტამ, კრისტიან ვიერიმ. ამათ ფონზე კი სხვები, როგორიც მაგალითად რონალდოა, ერთგვარად დაიჩრდილნენ კიდეც. გუნდებს რაც შეეხებათ, მე იტალიის გულშემატკივარი გახლავართ და ჩემს პროგნოზებს და შეხედულებებს ძირითადად სიმპათიები განაპირობებს. ჩემპიონატი რომ აკადემიურია, ამას ისიც ადასტურებს, რომ ოქროს თასის მაძიებელთა რიგებში ისინი დარჩნენ, ვინც უნდა დარჩენილიყვნენ (ინგლისის გამოკლებით). მწვრთნელებიდან ფოგტსს, პასარელას და ზაგალოს გამოვყოფდი, თუმც უპირატესობას მათ შორის მაინც ამ უკანასკნელს ვანიჭებ. რაც შეეხება ჩემი ამპლუის მოთამაშეს, აქ უდავო ფავორიტად ბრაზილიელი კაფუ მიმაჩნია. იგი ფლანგსაც მშვენივრად აკონტროლებს და შეტევაშიც დიდებულად ერთვება. ჩემი პროგნოზი გამართლდა. ტრადიციიდან გამომდინარე, ევროპელები ყოველთვის ფავორიტებად ითვლებოდნენ ჩემპიონატზე და აკი მეოთხედფინალშიც „ბებერი კონტინენტის" ექვსი წარმომადგენელია. ჩემპიონობის ყველაზე დიდი შანსი, ჩემი აზრით, სიმპათიის მიუხედავად, ალბათ იტალიას აქვს (ინტერვიუ აღებულია საფრანგეთთან მეოთხედფინალურ მატჩამდე — გ.ვ.), თუმცა გერმანიისა და საფრანგეთის ამბიციებიც არ უნდა დაგვავიწყდეს. საუკეთესო ფეხბურთელი უფრო ალბათ წინახაზელი — მეგოლე ან პლეიმეიკერი იქნება. ამ ორიდან უპირატესობას მაინც მეგოლეებს, ბომბარდირებს მივანიჭებ. მეოთხედფინალებამდე უპირატესობა, ჩემი აზრით, მაიკლ ოუენს აქვს, მას რომ დასცლოდა, იქნებ ჩემპიონატის საუკეთესოც კი გამხდარიყო".

ოთარ გუნთაძე: „მე მსაჯი ვარ და ჩემი კომპეტენციაც ძირითადად ჩემი ფუნქციით უნდა ამოიწურებოდეს. ამიტომ მაპატიოს მკითხველმა, თუკი ჩემი აზრი მათსას არ ემთხვევა. გუნდებზე ვიტყვი, რომ მათ ტაქტიკაში ვერაფერი სიახლე ვერ შევამჩნიე. „ჩემი გუნდი" ადრიდანვე გერმანიაა, მაგრამ ამ ჩემპიონატზე ვატყობ, რომ გუნდი დამიბერდა. თანამედროვე პროცესების კვალობაზე, ეს მნიშვნელოვანია, თუმცა გამოცდილებაც თავისას აკეთებს. მწვრთნელებზე იმას ვიტყვი, რომ ბორა მილუტინოვიჩს, როგორც უდიდეს სპეციალისტს და სტრატეგოსს დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ დანიასთან 1:4 წაგების შემდეგ მასზე შეხედულება შემეცვალა — ღირსეული მწვრთნელი ასე არ უნდა აგებდეს. სხვებიდან პასარელას გამოვარჩევდი — დიდი ფეხბურთელი ხომ იყო, ნაკრებიც ჩინებული დააყენა. ფავორიტებად გერმანიას, ბრაზილიას და საფრანგეთს მივიჩნევ. იმედები გამიცრუა რონალდომ, გაცილებით კარგი შთაბეჭდილება მასზე ოუენმა და ბევრმა სხვა ფეხბურთელმა დატოვა. ხოლო საუკეთესოდ სავარაუდოდ ის გახდება, რომლის ნაკრებიც უფრო წინ წაიწევს.

კოლეგიალობიდან გამომდინარე, მიჭირს მსაჯებზე აუგის თქმა, თუმცა თავს მაინც ვერ შევიკავებ, რადგან ისინი ზედმეტ უფლებებს ანიჭებენ თავიანთ თავს და, მარტივად რომ ვთქვა, „აფუჭებენ თამაშს". იგივე დანიელი კიმ ნილსენი — ჩვენ ვმეგობრობთ, დიდებული მსაჯია, მატჩის სადავეებიც მტკიცედ უპყრია ხელთ, მაგრამ შეცდომები მასაც მოუვიდა — თუნდაც არგენტინა — ინგლისის მერვედფინალი და სამხრეთამერიკელთა მიმართ მიკერძოებულობა — ასეთი დონის არბიტრს ოდნავ ლაფსუსიც კი არ ეპატიება. ისე შავოსანთა (თუმც უკვე გამოჩნდნენ წითლებში, ყვითლებში და სხვა ღია ფერებში — გ.ვ.) შორის უძლიერესად შვეიცარიელი ურს მაიერი მიმაჩნია".

**გიორგი ვაშაკიძე**

გიორგი კანდელაკმა, მძიმეწონოსანმა მსოფლიოს ჩემპიონმა ხუთშაბათს ლონდონის გარეუბანში პირველი ორთაბრძოლა გამართა პროფესიულ რინგზე

# გიორგი კანდელაკი: ლონდონის მერე ლას ვეგასში ვიჩხუბებ



გიორგი კანდელაკი

**ავიალაინერი რეისით ლონდონი — თბილისი შაბათს ნაადრევად დაეშვა თბილისის აეროპორტში. დილის ექვსის ნახევარზე მოსაცდელში პირველი თავად გიორგი კანდელაკი გამოჩნდა, მერე მას თანმხლებნი — სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ექვთიმიშვილი და კანდელაკის სიმამრი ვახტანგ ყანჩაველი მოჰყვნენ. „ევროსპორტზე" იმავე ღამეს უჩვენეს კანდელაკის ჩხუბი, ასე რომ, არცთუ ცოტა რამ უკვე ვიცოდით, თუმცა არც ის იყო ნაკლებად საინტერესო, რა ხდებოდა რინგს მიღმა და სწორედ ამის გასაგებად მოგვიწია ასე ადრიანად აეროპორტში მისვლამ.**

კანდელაკმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ჩამოსვლიდან თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ დამხვდურთა მანქანით პირდაპირ ვარიანისკენ გასწია. სწორედ დროის ამ მცირე მონაკვეთში შევძელით მასთან გასაუბრება.

**— გიორგი, ჯერ ის გვითხარით დაზუსტებით, სად და ვისთან გაიმართა თქვენი პირველი პროფესიული ორთაბრძოლა?**

— ლონდონის გარეუბანში ვიჩხუბეთ, მეტოქე ინგლისელი ლოურენს ბენქსი იყო. როგორც ვიცი, იგი უკვე ოთხი წელიწადია, პროფესიონალებში გამოდის და ოცამდე შეხვედრა აქვს ჩატარებული.

**— როგორ წარიმართა ბრძოლა, პირველი იყო და ხომ არ გაგიჭირდათ?**

— ოთხი 3-წუთიანი რაუნდი უნდა გვებრძოლა. პირველი რაუნდი მოსინჯვას უფრო ჰგავდა. მეორე მოვიგე, მესამეში ორჯერ გავგზავნე ჩემი მეტოქე ნოკდაუნში, მეოთხეში კი, როცა მეტოქე მესამედაც დავაგდე, მსაჯმა ორთაბრძოლა შეწყვიტა აშკარა უპირატესობის გამო.

**— ლონდონში ერთი კვირით ადრე ჩაფრინდით. მზადების როგორი პირობები გქონდათ?**

— ჩასვლის წუთიდან გვერდიდან არ მომცილებიან ჩემი მენეჯერები, ინგლისელი მალოუნი და ბერძენი პანიქსი. ფიზიკურად მომზადებისთვის ბულგარელი მწვრთნელი მომამაგრეს. ოთხი სპარინგ-შეხვედრის გამართვამაც მომიწია, ამათგან ორჯერ ინგლისის ჩემპიონთან.

**— თქვენი წყვილის გარდა იქ სხვებსაც უბრძოლიათ...**

— იმ საღამოს 8 წყვილი გავიდა რინგზე. მძიმეწონოსნები მხოლოდ მე და ჩემი მეტოქე ვიყავით. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან კიდევ ერთმა მოკრივემ იჩხუბა. წარმოშობით ნალჩიკელი მარატ ტაქოევი საფრანგეთის სახელით გამოდიოდა და 12-რაუნდიან ბრძოლაში დამარცხდა ესპანელთან, რომელიც ევროპის ჩემპიონის ტიტულს იცავდა.

**— ამ დღეებში რუმინეთში გამართულ ევროპის მოყვარულ მოკრივეთა ასოციაციის კონგრესზე მოყვარულებს ნება არ დაერთოთ, წელიწადში რამდენიმე ბრძოლა მაინც გამართონ პროფესიონალებთან. ისიც გავიხსენოთ, როგორ ჩამოართვეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული თქვენთვის კარგად ნაცნობი კუბელი სავონის მომგებ უზბეკ შაგაევს სწორედ იმიტომ, რომ ერთხელ პროფესიონალებში ეჩხუბა. მოკლედ, ისე გამოდის, სამოყვარულო კრივს ემშვიდობებით...**

— რუმინეთის ამბებისა არაფერი გამიგია ინგლისში, პირველად თქვენგან მესმის. თუ ასეა, სამოყვარულო კრივისთვის თავის დანებება მომიწევს ალბათ. ისე, რომ იცოდეთ, ჩემთვის ძალა არავის დაუტანებია, მე თავად მივიღე გადაწყვეტილება.

**— იქნებ ჯობდა, ოლიმპიურ თამაშებამდე მოგეცადათ, მით უფრო, რომ სიდნეიში მედლის მოპოვების შანსი ნამდვილად გქონდათ...**

— ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ დროა, არ არის გამორიცხული, სიდნეიში პროფესიონალებიც დაუშვან. ვნახოთ, რა იქნება...

**— კონტრაქტზე ხელი თუ მოაწერეთ და, საერთოდ, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები პირველი პროფმატჩის შემდეგ?**

— აგვისტოს ბოლოს ამერიკაში უნდა გავფრინდე. მთელი სექტემბერი ლას ვეგასში მომიწევს ვარჯიში. იმ დროისთვის ჩემი მენეჯერები შემირჩევენ მეორე მეტოქესაც, რომელთანაც კვლავ 4-რაუნდიანი ბრძოლა მექნება. ისე, ცნობისათვის გეტყვით, რომ იქ 26 სექტემბერს თავად ლენოქს ლუისი იჩხუბებს იუგოსლაველ მოკრივესთან. რაც შეეხება კონტრაქტს, ვფიქრობ, რომ მასზე ხელის მოწერა ალბათ სწორედ იქ მოხდება. მანამდე კი ორი მწვრთნელი ჩამოვა ჩემთან ვარიანში — ამერიკელი და ინგლისელი. ერთი ფიზიკურ მომზადებას მიხედავს და თან სამედიცინო მონაცემებსაც შეამოწმებს, მეორე კრივში ვარჯიშში მომეხმარება.

**— თქვენი ლონდონში ყოფნისას ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები უჩვეულოდ დრამატულ ბრძოლაში დამარცხდა არგენტინელებთან მსოფლიოს ჩემპიონატზე. თქვენ თუ ნახეთ შეხვედრა? როგორ გადაიტანეს მარცხი ინგლისელებმა?**

— ყველა იმ ინგლისელს, რომლებთანაც იმ დღეებში მომიწია ურთიერთობამ, რატომღაც ეეჭვებოდა თავისიანების წარმატება. რაც შეეხება წაგებას, როგორღაც შეეგუვნენ. თამაშს, რასაკვირველია, ვუყურე და ინგლისელებსაც ვქომაგობდი. ისე, იმ ახალგაზრდა ბიჭმა, ოუენმა, მართლაც ზღაპრულად ითამაშა...

**ზურაბ ტაბატაძე**



# ცხვირზე ასულებს პირი არ შეურცხვენიათ



გელა ოთარაშვილი, ბენო ქაშაკაშვილი და ბიძინა გუჯაბიძე ელ კაპიტანის ფონზე

**შეერთებულ შტატებში ელ კაპიტანზე ჩვენი მთამსვლელების ბიძინა გუჯაბიძის, გელა ოთარაშვილისა და ბენო ქაშაკაშვილის ასვლის შესახებ 10 ივნისის „სარბიელში" ძუნწად ვიუწყებოდით. ახლა, მათი იქიდან დაბრუნების შემდეგ ამ ასვლის დეტალებზე დაწვრილებით შევიტყვეთ და დაპირებისამებრ გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გელა ოთარაშვილს ჩამოვართვით, მანამდე კი გაცნობებთ, რომ ჩვენს სამეულთან ერთად ელ კაპიტანზე ასულა უკრაინელი ოლეგ ოშეროვიც.**

— ოლეგი კარგი მთამსვლელი და, რაც მთავარია, შესანიშნავი პიროვნებაა — გვიამბობს გელა ოთარაშვილი — იგი ჩვენი ძველი ნაცნობია და დროებით ამერიკაში ცხოვრობს...

**— თქვენ თვითონ როგორ მოხვდით ამერიკაში?**

— შარშანწინ, როცა ბიძინამ, ბენომ და ლოვა სარქისოვმა ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალი მაკ კინლი დალაშქრეს, მათი იქაური მეგობრები დაპირდნენ, ელ კაპიტანზე ასასვლელად მოწვევებს გამოგიგზავნითო. მათ პირობა შეასრულეს. ისინი სან ფრანცისკოს აეროპორტში დაგვხვდნენ. ჩვენთვის საგანგებოდ მანქანა უქირავებიათ. ჩაგვაჯინეს იმ მანქანაში და იმავე დღეს აგვიყვანეს ელ კაპიტანის მისადგომებთან, სადაც კოტეჯში დაგვაბინავეს.

**— მწვერვალზე ასვლა თავისთავად ძნელია, მაგრამ ჩვენი მთამსვლელებისთვის უფრო რთული პრობლემა ფულის შოვნა გამხდარა...**

— დიახ, ეს ჩვენი მთავარი პრობლემაა. ცხადია, სახელმწიფოს ჩვენთვის არაფერი მოუცია. ახლა თუ ჩვენ ელ კაპიტანი დავლაშქრეთ, რაც მთამსვლელისთვის ერთ-ერთ პრესტიჟულ ასვლად ითვლება, ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს სპონსორებს — თბილისში ახლახანს გახსნილი შვეიცარიის ავიაკომპანია SWISSair-სა და თბილკრედიტბანკს. პირველმა ამერიკაში ჩვენი გადაფრენა-გადმოფრენა უზრუნველყო, მეორემ კი იქ ცხოვრების ხარჯები. ახლა მინდა ჩვენი გულის სახელით ორივეს ულრმესი მადლობა მოვახსენო. რაც შეეხება საქმის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, ეს ალპინდუსტრიამ იკისრა.

**— ელ კაპიტანის გაცნობა ფართო მკითხველისთვის და მთამსვლელთათვისაც საინტერესო იქნება, რადგან თქვენ ხართ პირველი ქართველები, ვინც იქ ავიდა.**

— ელ კაპიტანი კალიფორნიის შტატში, იოსემიტების ეროვნულ პარკშია აღმართული. 1200 მეტრი სიმაღლის კლდის მონოლითური მასივია. იქ ასეთი კლდეები საკმაოდაა. ისინი ვულკანური თუ რაღაც ტექტონიკური წარმოშობის არ არის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთი უშველებელი, რაღაც გრანდიოზული თეთრი გრანიტის ქვა კარაქივით ჩაეჭრათ რამდენიმე ადგილზე და ისინი ერთმანეთისთვის დაუცილებიათო... კლდის ფაქტურა ძალზე განსხვავდება კავკასიონისა თუ სხვა მთათა სისტემისაგან. სხვაგან თუ ყველანაირი ბზარები გვხვდება, ელ კაპიტანზე მხოლოდ ვერტიკალურია. კლდის კენწეროს ზედაპირიც უნდა წარმოიდგინოთ როგორც რაღაც უშველებელი, გლუვზედაპირიანი რიყის ქვა. ამ „ქვაზე" ასვლა მხოლოდ აპრილ-მაისშია შესაძლებელი. კლდეზე უხელთათმანოდ, შიშველი თითებით უნდა იარო. ამიტომ აპრილამდე აქ სიცივის გამო ვერ ახვალ, მაისის მერე კი კლდე უთოსავით ხურდება. ასვლა შეუძლებელია წვიმაშიც, რადგან წყალი ჩანჩქერად გადმოდის კლდეზე და მას ამსვლელთა ჩამორეცხვა შეუძლია.

**— რამდენი მარშრუტია ელ კაპიტანზე?**

— სამი. ეს კლდე გემის ცხვირივითაა. ცენტრში გამავალს „ნოსი" ჰქვია, მაგრამ რუსულ „ნოსთან" რაიმე კავშირი აქვს თუ დამთხვევაა, ამას ვერ გეტყვით. ჩვენგან „ნოსის" მარცხნივ გამავალ მარშრუტის „სალტ" ჰქვია, მარჯვნივ ამავალს კი „შილდ". ჩვენ „ნოსზე" ავედით.

**— ამ სამ მარშრუტს შორის რა განსხვავებაა?**

— პრაქტიკულად არავითარი. უბრალოდ, „ნოსი" სხვებზე უმნიშვნელოდ გრძელია. „ნოსის" თავზე მოქცევა, სხვათა შორის, ნებისმიერს სულ იოლადაც შეუძლია, თუ მას უკან მოუვლის და აღმართ-აღმართ, ნელ-ნელა, ღიღინ-ღიღინით ავა. ჩვენ რომ კედელი ავათავეთ და მის კენწეროზე გადავბობღდით, მერე სულ პატარა აღმართი გავიარეთ და მეორე მხრიდან სამ თუ ოთხ საათში ტყე-ტყე სიარულით დიმპიტაურით დავეშვით.

ეს ზღაპრული სილამაზის, პირველქმნილი, ხელუხლებელი და უსიერი ტყეა იქ ერთი ტოტიც კი არასოდეს მოუჭრიათ. ხეები იზრდებიან, ზეზეულად ხმებიან, ლპებიან და ეცემიან. იქ არის უამრავი, ალბათ 200-300 ანკარა ჩანჩქერი, რომელიც არ იმღვრევა.

**— ახლა მთავარზე — როგორ ახვედით იმ „ტყეში"?**

— როგორც ვთქვი, კლდის ფაქტურა ძალზე განსხვავდება სხვა მთებისაგან. ასეთი ქანები ჩვენ მანამდე არსად შეგვხვედრია და ამიტომ ელ კაპიტანისას უნდა შევჩვეოდით. საამისოდ სავარჯიშო ასვლა განვახორციელეთ ვაშინგტონ ქოლზე, სადაც 400-მეტრიანი მთლად ვერტიკალური მარშრუტი გავიარეთ ერთი ღამისთევით. ჩვენთვის მთავარი იყო არა მხოლოდ იქაურ კლდეებზე შეჩვევა, მასზე განსხვავებული „ცოცვის" ტექნიკაში გავარჯიშება, არამედ ბარგის ზიდვის სულ სხვაგვარი მეთოდის ათვისება. ჩვეულებრივ, მთაში ზურგჩანთამოკიდებულები დავდივართ. გზად კლდეზე ყინულიდან ნაჟურიც გვხვდება ან თოვლს ვადნობთ სასმელად. ელ კაპიტანის კლდეზე კი სინესტე რაა, იმასაც ვერ ნახავთ. ამიტომ იქ 40 ლიტრი წყალიც სათრევი იყო. რაკი იმ კლდეზე ზურგჩანთებით სიარული შეუძლებელია, მთელი ბარგი, წყალთან ერთად იქაური ასვლების გამოცდილების მიხედვით ჩვენც დიდ ტომრებში ჩავაწყვეთ და ისე ავედით. იმ ტომრებს თოკებით მივათრევდით. თოკის ერთი ბოლო ტომარაზე იყო გამობმული, მეორე ზემოთ გორგოლაჭზე გვქონდა გადაგდებული და ქვემოდან ვეწეოდით. ასაწევად ჟუმარს ვიყენებდით. ასე რომ, ყოველი აწევის მერე იგი თავისთავად მუხრუჭდებოდა. მაგრამ ბარგის აწევა სიმძიმის გამო მხოლოდ საკუთარი წონის გამოყენებით იყო შესაძლებელი. ამიტომ ეს საქმე ჩვენს შორის ყველაზე მძიმე, 84 კილოგრამიან ბენო ქაშაკაშვილს მივანდეთ.



ელ კაპიტანის კედელზე

სავარჯიშო ასვლის მერე ორი დღე დავისვენეთ და თან ელ კაპიტანზე წინასწარ ოთხი თოკი დავკიდეთ დაახლოებით 200 მეტრის სიმაღლეზე. ასვლა უთენია დავიწყეთ, მესამე დღეს საღამოს 5 საათზე უკვე ზემოთ ვიყავით.

**— ღამეს ჰამაკებში გაატარებდით.**

— არა, კლდეზე მიბმულებმა თაროებზე გავათენეთ. ასვლამდე, რა თქმა უნდა, მარშრუტის აღწერილობა შევისწავლეთ. ვიცოდით, რომ გზაში მხოლოდ ორგან შეგვხვდებოდა ღამისსათევად ერთიდან სამ მეტრამდე თაროები და ჩვენ ზუსტად ისეთი ტემპით ვიარეთ, რომ დაღამებისას იქ ვყოფილიყავით. ერთი ღამე ორ-ორმა თითო თაროზე გავატარეთ, მეორე ღამეს კი სამნი ერთად დავეტიეთ, ბენოს კი ჩვენგან 10 მეტრით ქვემოთ მარტოდ მოუწია ყოფნამ.

**— კედლის დახრილობა რამდენგრადუსიანი იყო?**

— მთლად შვეული კედელი იყო. რა სიმაღლეზე თუ მონაკვეთზეც არ უნდა ვყოფილიყავით, კედლის ძირი მუდამ ჩანდა. ვხედავდით ჩვენ ქვემოთ მომავალ ჯგუფებსაც.

**— როგორ, ერთი და იმავე მარშრუტზე ერთდროული რამდენიმე ჯგუფი იყავით? ქვათაცვენის არ გეშინოდათ?**

— კედელზე არც-ერთი ეგრეთწოდებული ცოცხალი ქვა არ არის. კედელი, როგორც ვთქვი, მთლად გლუვია და ზედ მხოლოდ ვერტიკალური ნაპრალები, რომელზეც ხელის ჩასაჭიდს ვპოულობდით.

**— კი მაგრამ, თქვენი ან სხვისი მოძრაობით გამოწვეული ქვათაცვენისა თუ არ გეშინოდათ, ხომ შეიძლებოდა ვიღაცას ჩაქუჩი, პალო ან შლამბური ხელიდან გავარდნოდა და ქვემოთ მომავალი ჯგუფის წევრს დაცემოდა?**

— კარგია, რომ ამას მეკითხებით. ჩაქუჩები, პალოები და მისთანები არ წაგვიღია. მასპინძლები ამას ყველა ამსვლელს სთხოვენ, რათა ბუნება დაიცვან და კლდე რკინეულობით არ მოიჭედოს. ჩვენ ვიყენებდით ხელოვნურ საყრდენებს, ნაპრალებში რომ იჭედება და ფრენდებს უწოდებენ. ამასთან, ყოველი თოკის გავლის მერე სტაციონალური დაცვის სისტემებია. სულ 34 დაცვის წერტილია.

**— მაგრამ იქამდე ხომ აღწევაა საჭირო. ის შვეული ბზარები თავიდან ბოლომდე ხომ არ გრძელდებოდა?**

— რა თქმა უნდა, არ გრძელდებოდა. ბზარები 2-3 მეტრის სიგრძისა იყო. ერთ ბზარს რომ ავათავებდით, მეორეზე გვერდით ტრავერსით 20-40 მეტრზე გადავდიოდით. საამისოდ „მაიატნიკს" მივმართავდით — კლდეზე თოკზე დაკიდებულები რიგრიგობით გავექანებოდით, გამოვექანებოდით როგორც კედლის საათის ქანქარა და მერე კატასავით ბზარს მივახტებოდით ხოლმე. სულ ათამდე ასეთი „აკრობატული" „ნახტომი" დაგვჭირდა. ჩვენ უშბაზე, ჩატინზე და ტექნიკურად სხვა ურთულეს მწვერვალებზე სხვადასხვა მარშრუტებით ავსულვართ, მაგრამ ასეთი ტექნიკური სირთულე არსად შეგვხვედრია. ჩვენს ბედად ელ კაპიტანზე ასვლისას მშვენიერი ამინდი დაემთხვა. მოღრუბლული იყო და ზომიერი ქარი ქროდა.

**— ამბობთ, კარგი ამინდი იდგაო და ერთ-ერთ სურათზე, მწვერვალზე რომ გადაგიღიათ, თოვლია და არც თქვენ გაცვიათ საზაფხულოდ.**

— ჩვენ რომ ჩავედით, სწორედ მაშინ მოთოვა, რამაც იქაურებიც კი გააკვირვა. მერე კი გამოიდარა და ჩვენც მაშინ ავედით.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



## ოლიმპიურ ორდენოსნებს შევარდნაძეც შეუერთდა

ამ ორი თვის წინათ ხმა დაირხა, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი უმაღლესი ჯილდო — ოლიმპიური ორდენი უნდა გადასცესო. ახლა ეს ხმები დაადასტურა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმოწერით დამშვენებულმა წერილმა, რომლითაც გვეუწყა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჯილდოვდება ოლიმპიური ოქროს ორდენით.

ასეთი გადაწყვეტილება გაცხადდა სევილიაში გამართული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე.

ჯილდოს გადაცემის ცერემონიალი მოგვიანებით გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოდან ოლიმპიური ორდენით დაჯილდოებულნი არიან: წყალში მხტომელი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი სერგო შალიბაშვილი (გარდაცვალების შემდეგ), მძლეოსანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი და მოჭადრაკე, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

# ოლიმპიაში ხელებს იფშვნეტენ

სლოვენიის „ოლიმპიას“ ევროპულ კალათბურთში საკმაოდ ძლიერ გუნდად იცნობენ და მის წარმატებებს შინაურ თუ საერთაშორისო სარბიელზე ქართველი ვლადიმერ სტეფანიას ჩინებული თამაშიც განაპირობებდა. მას შემდეგ, რაც „სიეტლ სუპერსონიქსმა“ NBA-ს წლევანდელ დრაფტზე ლუბლიანელთა ლიდერი თავის რჩეულთა შორის დაასახელა, „ოლიმპიას“ ხელმძღვანელობა დილემის წინაშე აღმოჩნდა. ამერიკელებმა თუ კალათბურთელი თავისთვის შეიგულეს, მის გადმოსაბირებლად არაფერს დაიშურებენ. ვოვას კი, ამასწინათაც გაუწყეთ, სლოვენიელებთან კონტრაქტის კიდევ ერთი წელი აკავშირებს, ჰოდა, ექსიუგოსლავიელებიც ყველანაირად ეცდებიან, სტეფანია სარფიანად მიჰყიდონ მდიდარ სიეტლელებს. ვლადიმერ სტეფანია „ოლიმპიას“ მეპატრონეებს შეხვედრია, ისინიც ქართველის NBA-ში გადასვლაზე ყაბულს ყოფილან, ოღონდ ამერიკელთა წინადადებას ელიან და საჭირო თანხის მილების შემთხვევაში ვოვა დაუბრკოლებლად გახდება „სიეტლ სუპერსონიქსის“ საკუთრება. თუ რა თანხაზეა საუბარი, ამის შესახებ ვერც სლოვენიელებს და ვერც ამერიკელებს სიტყვა ვერ დავაცდენინეთ.

**სოსო ქოტორეიშვილი**

# თურქებმა თვალი დაგვადგეს

**ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა დიღომში, „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე განაგრძო ვარჯიში. შეგახსენებთ, რომ 11 ივლისს მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები იწყება და ჩვენებურებს ბრაზილიის, ჰოლანდიისა და ესპანეთის საკმაოდ ძლიერ გუნდებთან მოუწევთ ჯგუფში ურთიერთობის გარკვევა. ორი საუკეთესო შემდეგ ეტაპზე გავა და ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ბრძოლას საპრიზო ადგილებისთვის. მანამდე კი, ბუნებრივია, ნაკრების აზერბაიჯანული ვოიაჟით დავინტერესდით და გუნდის მთავარ მწვრთნელს ვაჟა მხეიძეს გავესაუბრეთ**



ვაჟა მხეიძე

— ტურნირი აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მეოთხმოცე წლისთავს მიეძღვნა და ჩვენს გარდა აზერბაიჯანის, თურქმენეთის და თურქეთის რეგიონალურ, კერძოდ, ანკარის, ნაკრებებს მოუყარა თავი. ბაქომ პირველად უმასპინძლა ასეთი რანგის შეჯიბრს და წარმატებითაც გაართვა თავი მის ორგანიზაციას. აზერბაიჯანელებმა შესანიშნავად მიგვიღეს, ყველა პირობა შეგვიქმნეს, რათა მოსკოვის თამაშებისთვის ნორმალურად მოვმზადებულიყავით. ერთადერთი პრობლემა გარკვეულწილად მსაჯობამ შეგვიქმნა, რაც ადგილობრივი გუნდისადმი სიმპათიებში გამოიხატა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებთან შეხვედრაში ჩვენი ძალა მაინც დავამტკიცეთ. შეხვედრის მიწურულს ბიჭებმა შეძლეს მაქსიმალურად მობილიზება და მეტოქე 86:79 დაამარცხეს. ამით ტურნირის გამარჯვებულის ბედიც გადაწყდა.

**— გუნდის თამაშით კმაყოფილი კი ჩანხართ, მაგრამ, ცხადია, არაერთ ნაკლსაც შეამჩნევდით.**

— თვენახევარია, რაც ამ გუნდთან ვმუშაობთ მე და მეორე მწვრთნელი ზაზა ცაგარეიშვილი და ამ მცირე დროში ყველა ნაკლის აღმოფხვრა, დამეთანხმებით, შეუძლებელია. ფაქტობრივად, პირველად მოგვეცა საშუალება, ბიჭები საქმეში გვენახა და შეგვეფასებინა. ჩვენი გუნდი ყველაზე ახალგაზრდული იყო ტურნირზე და კაცებთან პაექრობამ კიდევ უფრო დამარწმუნა ბიჭების შესაძლებლობებში. განსაკუთრებით მათ ფიზიკურ კონდიციებს აღვნიშნავ — ეს ხომ ყოველთვის აქილევსის ქუსლი იყო ქართულ კალათბურთში. ჩვენები გაცილებით ასაკოვანი კალათბურთელების წინააღმდეგ თამაშს არ შეუშინდნენ და თამამადაც ვიტყვი, ამ კომპონენტშიც დაჩაგრეს ყველა.

**— ბაქოში გამგზავრებამდე ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული ჩანდით. გამთამაშებლის პრობლემას ვგულისხმობ. ამ მხრივ თუ გაირკვა რამე?**

— ბაქოში ოთხივე გამთამაშებელი წავიყვანეთ და ყველა მათგანს თანაბრად მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. ეს პრობლემა მართლაც ბევრ საზრუნავს გვიჩენს, მაგრამ საგანგაშოც არაფერია, ბიჭები დღითიდღე უმატებენ და, ვფიქრობ, მოსკოვისთვის სრულ მზადყოფნაში იქნებიან. მთლიანობაში გამთამაშებლებს დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ორი მათგანი სწრაფ თამაშში უფროა სასარგებლო, ორი კი პოზიციური თამაშისას ავლენს სრულად თავის შესაძლებლობებს. ასე რომ, მოსკოვში ოთხივეს წავიყვანთ. ამ ბოლო ხანს ტანმაღალი კალათბურთელების პრობლემაც შეგვექმნა. ტრავმები აწუხებთ ბოისას და ლოსაბერიძეს. ძალიან წაგვადგებოდა ირაკლი ნიჟარაძე, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებშია და ერთ-ერთი კოლეჯის გუნდში თამაშობს. მის პოზიციაზე უგრეხელიძე და ნინიაშვილი მოვსინჯეთ, მაგრამ ისინი მეტისმეტად ახალგაზრდები არიან და, ალბათ, ამიტომაც ვერ გაამართლეს ჩვენი იმედი. ჯერ ფსიქოლოგიურად არ მომძლიერებულან, თუმცა ასაკის მატებასთან ერთად, ალბათ, ესეც მოგვარდება.

**— როგორ შეაფასეს ჩვენი გუნდის წარმატება იქ მყოფმა სპეციალისტებმა, პრესამ, ტელევიზიამ?**

— ყველა აღტაცებული დარჩა. ამდენს არ ველოდითო, გვეუბნებოდნენ. ტურნირის დამთავრების შემდეგ თურქეთის გუნდმა მოსვენება არ მოგვცა, გინდა თუ არა, ერთხელაც გვეთამაშეთო. ვეთამაშეთ და კიდევ მოვუგეთ. თურმე ნუ იტყვით, ამ თამაშზე საგანგებოდ ჩამოსულა თურქეთის „ეფეს პილსენის“ მეორე მწვრთნელი, რომელიც მატჩის დამთავრების შემდეგ ჩემთან მოვიდა და რამდენიმე კალათბურთელით დაინტერესება გამოთქვა, თან თურქეთში მიგვიწვია და რამდენიმე ამხანაგური თამაშის გამართვაც შემოგვთავაზა. ხარჯებიც, რა თქმა უნდა, თავად იკისრეს. მაგრამ მოსკოვამდე ვიზები არ ესწრება და, ვფიქრობ, სამომავლოდ გადავდებთ.

**— ხომ ვერ გვეტყვით, კონკრეტულად ვისზე იყო ლაპარაკი?**

— ძირითადად ბოისაზე, წიკლაურსა და ვეფხვაძეზე. ესენი თურქს განსაკუთრებით მოსვლია თვალში. ისე, არც დანარჩენებზე დაიშურა კეთილი სიტყვები.

**— მოდით, ახლა მოსკოვზე ვთქვათ. ვინ მიგყავთ ახალგაზრდულ თამაშებზე?**

— გუნდში იქნებიან ვოვა ბოისა, ლევან წიკლაური (აზოტი), გიორგი გაგნიძე, ლაშა ლოსაბერიძე, ზვიად მიქაძე (ვითა), თორნიკე ნინიაშვილი, დათო შანიძე, ნიკა ვეფხვაძე (დინამო), გიორგი ნიკოლაძე, ზვიად ბაბიაშვილი (თსუ), ნიკა ცქიტიშვილი, ვანო აბულაძე (კოლხა).

პირველი თამაში ბრაზილიასთან გველის ცსკა-ს საკალათბურთო სასახლეში, შემდეგ ჰოლანდიელებს გავეჯიბრებით, ბოლოს კი ესპანელებს.

**— იმედია, ჯერ ჯგუფიდან გასვლას გეგმავთ...**

— ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ მერწმუნეთ, მონდომებას არ დავაკლებთ. ჩემი აზრით, ურიგო შედეგს არ უნდა მივაღწიოთ, ამას ბიჭების მზადყოფნა მაფიქრებინებს. ჯგუფიდან გასვლა უკვე წარმატებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ბუნებრივია, მარტო ამით არ დავკმაყოფილდებით. ვნახოთ, ყველაფერი მალე გაირკვევა, პროგნოზებისგან კი თავს შევიკავებ.

წარმატებული თამაშით თავად კალათბურთელებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. მოსკოვში უამრავი კალათბურთის სპეციალისტი ჩამოვა. ისინი ახალგაზრდებს დააკვირდებიან და შეეცდებიან, თავიანთ კლუბებში გადაიბირონ. ასე რომ, თუკი თავს გამოიჩენ, შესაძლოა, კარიერაც შეიქმნა.

**გიორგი ბიძაშვილი**



# ი-რა-კლი!

## ალექსანდრე მეტრეველის მერე ირაკლი ლაბაძე უიმბლდონის ფინალში გასული მეორე ქართველია. ოღონდ იგი იუნიორთა ფინალით იწყებს

ამ საღამოს „ოლ ინგლენდ კლაბის“ ბალახის კორტებზე ივანიშევიჩისა და სამპრასის დუელზე მეტად ჩვენს ყურადღება იუნიორი ვაჟების ფინალი მიიპყრობს, რომელშიც ჩვენებური ირაკლი ლაბაძე შვეიცარიელ როჯერ ფედერერს დაუპირისპირდება. ირაკლიმ, რომელიც ტურნირზე მეშვიდედაა განთესილი, ნახევარფინალში მორიგი მძიმე ბრძოლა გადაიტანა, ამჯერად რუს კირილ ივანოვ-სმოლენსკისთან და, პირველი სეტის წაგების მიუხედავად, 1:6, 7:6(7:1), 6:3 იმარჯვა. საქართველოს შარშანდელი ჩემპიონის უიმბლდონურ ეპოპეაში განსაკუთრებით დასაფასებელი ჩვენებურის მებრძოლი ხასიათი და შესანიშნავი ფსიქოლოგიური მომზადებაა — აგერ უკვე ზედიზედ მესამე მატჩია, პირველი ხელის წაგების შემდეგ იგი ერთი შეხედვით საბედისწერო ტაი-ბრეიკზე ჩაგრავს მეტოქეებს და ანგარიშის გათანაბრების მერე მოპოვებულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ხელიდან აღარ უშვებს. ისე, ივანოვ-სმოლენსკის გადამწყვეტ პარტიაში, თანამემამულე უფროსი კოლეგებისგან განსხვავებით, თეთრი ალამი არ გადმოუკიდია და გვარიანადაც გაძალიანდა, მაგრამ ირაკლი მნიშვნელოვან მომენტებში კარგად გაისარჯა და მატჩი მეტოქის მოწოდების ართმევითაც დაასრულა.

ფინალში ლაბაძის მოწინააღმდეგე ფედერერი სახუმარო მეტოქე არ გახლავთ, აქ მეხუთედაა განთესილი და ერთეულების ფინალის გარდა წყვილებისაშიც ასპარეზობს. ნახევარფინალში კი მან ხორვატ ლოვრო ზოვკოს მოუგო 7:5, 6:2. ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ ირაკლის, მხურვალედ ვუქომაგოთ და მოუთმენლად დაველოდოთ ცნობებს მსოფლიოს უდიდესი საჩოგბურთო ტურნირიდან.



# იანას ჰპერის გამოცხვა



**იანა ნოვოტნა**

დაიბადა 1968 წლის 2 ოქტომბერს
დაბადების ადგილი ბრნო, ჩეხეთი
ცხოვრობს: ანტვერპენში, ბელგია
სიმაღლე: 1,75 მ
წონა: 63 კგ
მემარჯვენე
პროფესიონალი 1987 წლის 26 თებერვლიდან
ტიტულები: 23 ერთეულებში და 77 წყვილებში

ერთადერთია თავის ოჯახში, ჩოგბურთს რომ თამაშობს. უყვარს: ათასგვარი სპორტი, ოღონდ ყველა უპირველეს თხილამურებით სრიალი, ველორბოლა, ალპინიზმი და სპორტული სიარული (!). აგრეთვე უყვარს: დროის დიდ ციხეში გატარება და პლაჟზე კოტრიალი. ძალიან უყვარს: მთაში სეირნობა და სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო. კითხვაზე, საკუთარ თამაშზე დასასწრებად ბილეთს ყველაზე დიდი სიამოვნებით ვის გაუგზავნიდა, პასუხად მადონას იძლევა. ფსიქოლოგიურად ყველაზე სუსტი ჩოგბურთელის წოდებაში პირველობას მარი პირსს ედავება.

ვინ არის (იყო) საუკეთესო ქალი ჩოგბურთელი, რომელსაც არასოდეს მოუგია დიდი სლემის ტურნირი (4 ივლისის შუადღის ნახევრამდე)? ვის ეშინია ყველაზე მეტად უიმბლდონის ფინალში თამაშის? ვის გულშემატკივრობენ ინგლისელები ტიმ ჰენმანის შემდეგ ყველაზე მეტად? ამ კითხვებზე ლეგენდარული კრის ევერტიდან დაწყებული ჩოგბურთის ნებისმიერი მოყვარულით დამთავრებული, ყველა ერთ პასუხს გაგცემთ — რაღა თქმა უნდა, იანა ნოვოტნა.

ყველაფერი 1993 წლის უიმბლდონის ფინალიდან დაიწყო, როდესაც ჩეხ ჩოგბურთელს შტეფი გრაფთან შეხვედრის გადამწყვეტ პარტიაში 5:1-ით დაწინაურებას ერთი ქულა აკლდა, საბოლოოდ კი ის დღე კონტის ჰ ერცოგინიას მხრებზე ქვითინში დაამთავრა, რაკილა იმ ერთი ქულის მოთვლა ვერაფრით მოახერხა და ჩემპიონობა დიდ გერმანელს გადაულოცა: „იმედგაცრუებული და დამწუხრებული ვიყავი, თუმცა ჰერცოგინია უბრალოდ რომ მოსულიყო და ეთქვა, მომილოცავს, კარგად ითამაშე, არაფერი მოხდებოდა, მაგრამ რაკი იგი ასეთი გულკეთილი აღმოჩნდა, მითხრა, ნუ ინერვიულებ, ერთ დღეს შენც მოიგებო, თავი ვეღარ შევიკავე და ავქვითინდი. ასე რომ, ჩემი ატირება ფაქტობრივად მის კისერზეა“.

მერე იყო მეორე მცდელობა, უკვე ახალი მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის წინააღმდეგ, ისევ დაწინაურება, შესანიშნავი თამაში და ისეთივე სევდიანი დასასრული, ოღონდ ამჯერად ისტერიკებისა და დრამის გარეშე. შარშანდელი ფინალის წაგების შემდეგ ჰერცოგინიამ იანაც დაინდო, ზედმეტად გულჩვილებიც, საკუთარი კაბაც და ამჯერად ჩეხი მხოლოდ „მესამე და სამართალის“ ინგლისური ექვივალენტით დაიმედა — მესამედ აუცილებლად გაგიმართლებსო.

და აი, 29 წლის ნოვოტნა ისევ ფინალში აღმოჩნდა. გზად ბევრად ახალგაზრდა მეტოქეც ჩამოიცილა, და რაც კიდევ უფრო საოცარია, ამ გადამწყვეტ შერკინებაში თავისზე უფროს, 30 წლის ნატალი ტოზიას გადაეყარა, რომელსაც აქამდე 14-წლიან კარიერაში დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალისთვისაც კი არასოდეს მიეღწია.

დასაწყისი ნოვოტნასთვის არცთუ სახარბიელო იყო, ფრანგი 2:0-ით დაწინაურდა, მაგრამ, წინა ორი შეხვედრის მსგავსად, ჩეხი მალევე მოეგო გონს და გაათანაბრა. ტოზიამ, ბადესთან რომ შესანიშნავად ირჯება, მერე რატომღაც უკანა ხაზზე არჩია დარჩენა და დაისაჯა კიდეც — მის ერთობ სუსტ მეორე მოწოდებას ნოვოტნა ხისტი და ზუსტად მიმართული მიღებებით პასუხობდა და შეხვედრის დაწყებიდან 42 წუთის შემდეგ პირველი სეტიც დამსახურებულად მოიგო.

მაგრამ ყველაზე რთული ჩეხისთვის ახლაღა იწყებოდა და მანაც უამრავი ორმაგი თუ უნებლიე შეცდომით მეტოქის დასაწინაურებლად ყველა ღონე იხმარა, მაგრამ მისთვის საბედნიეროდ მთლად კერკეტი კაკალი ვერც ტოზია აღმოჩნდა და მალე ჩეხმა სულ მთლად კატასტროფულ სიტუაციაში ამოყო თავი — დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონობას ერთი გეიმიღა უკლდა — 5:3.

აქ იანა ისე განერვიულდა, შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, კორტიდან თავქუდმოგლეჯილიც გავარდებოდა, მაგრამ რაკილა თავის ხსნა ასე ვერ მოახერხა, სასწრაფოდ ჩაფვლავა ბადესთან რამდენიმე გასვლა, ერთი ორჯერ ბურთი ტრიბუნებისკენაც გაუშვა და ანგარიშიც 5:5 გახდა. მაგრამ შეშინებულმა ჰერცოგინიამ თავისიანები აიყოლია, ჩეხს გასამხნევებლად ოვაციები მოუწყო და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიატანინა, აქ კი როგორც იქნა გამოჩნდა, რომ ნოვოტნა მსოფლიოს მესამე ჩოგანი დაუმსახურებლად არ გამხდარა (ორშაბათიდან უკვე მეორე) — იანამ რამდენჯერმე მშვენივრად მოიქნია ხუთიოდე წუთის წინ ხელში თოხად ქცეული ჩოგანი, ბადესთანაც იხტუნა, კორტის სიღრმიდანაც დაარტყა და აღსრულდა — 6:4, 7:5 83 წუთის შემდეგ.

გამარჯვებული ჩეხი მუხლებზე დაეცა, ცრემლების დაფრქვევა მაინც მოასწრო, მერე ტრიბუნებზე ავარდა და დედას — ლიბას და მწვრთნელს, უიმბლდონის ფინალში დამარცხებანაწვნევ ჰანა მანდლიკოვას გადაეხვია.

„ყოველთვის ვამბობდი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის დიდი სლემის ტურნირზე გამარჯვებას. უიმბლდონის მოგება — ეს ყველაფერია, რაზეც ვოცნებობდი. ეს ის არის, რისთვისაც ამდენი წელი ვშრომობდი. მთავარია, საკუთარი ძალებისა გწამდეს და ოცნებების აღსრულების გჯეროდეს“ — იანა ნოვოტნა უკვე იღიმებოდა, როცა ლამის ძიძად ქცეულმა კენტის ჰერცოგინიამ მთავარი ჯილდო გადასცა.

**ავთანდილ სვანიძე**

| იანა ნოვოტნა — ნატალი ტოზია 6:4, 7:6 (7:2) | | |
|---|---|---|
| | ნოვოტნა | ტოზია |
| პირველი მოწოდების % | 67 | 53 |
| ეისები | 1 | 1 |
| ორმაგი შეცდომები | 7 | 2 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 34/52-დან — 65% | 31/45-დან — 68% |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 12/25-დან — 48% | 15/39-დან — 38% |
| სუფთად მოგებული ქულები | 48 | 39 |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 4/13-დან | 3/10-დან |
| სულ მოგებული ქულები | 84 | 77 |

## გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა), დავორ შუკერი (ხორვატია)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), რონალდო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ბებეტო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი), ბრიან ლაუდრუპი (დანია)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიქტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), ხელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა), მარტინ იორგენსენი (დანია), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), კლაუდიო ლოპესი (არგენტინა), რობერტ იარნი (ხორვატია), გორან ვლაოვიჩი (ხორვატია)

## ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

## წითელი ბარათები

*ჰოლანდია* — ნუმანი

## ყვითელი ბარათები

*ხორვატია* — სოლდო, ბობანი, ბილიჩი, სიმიჩი, შუკერი

*ბრაზილია* — კაფუ 2, სეზარ სამპაიო, ლეონარდო, რობერტო კარლოსი, ალდაირი

*საფრანგეთი* — გივარში, დეშამპი

*ჰოლანდია* — სტამი

# მისი უდიდებულესობა უკმაყოფილოა

— ინგლისის დედოფალი ელიზაბეტი გაზეთ „ლონდონ ტაიმსის“ ცნობით, დიდი ინტერესით უცქერდა მისი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებისა და არგენტინის მერვედფინალურ თამაშს. თურმე, როდესაც სოლ კემპბელის მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლი არ ჩათვალეს, დედოფალი მღელვარებისგან ფეხზეც კი წამომდგარა.

შემდეგ, სადილობისას მის უდიდებულესობას წინამორბედის, გასული საუკუნის უდიდესი მონარქის, დედოფალ ვიქტორიას სიტყვები გაუმეორებია: „ჩვენ ამ ამბავმა სულაც არ გაგვართო.“ ამით ახლანდელ დედოფალს იმის თქმა უნდოდა, რომ მსაჯმა გოლი უსამართლოდ არ ჩათვალა.

ამასთან დაკავშირებით ფიფას პრესმდივანმა კით კუპერმა თავიდან ერთობ იყოყმანა გაეცა თუ არა პასუხი საეროდ, მაგრამ როდესაც არ მოეშვნენ, უპასუხა: „ვეჭვობ მის უდიდებულესობას ფეხბურთი იმ შეხვედრის მსაჯზე უკეთ ესმოდეს. იქნებ, მის რომელიმე შვილიშვილს მართლაც ესმის უკეთ, მაგრამ თავად დედოფალს...“

შვილიშვილი კუპერმა იმიტომ ახსენა, რომ ტახტის მემკვიდრე, პრინცი ჰარი, მამამისთან, პრინც ჩარლზთან ერთად ესწრებოდა ინგლისისა და კოლუმბიის შეხვედრას, რომელიც ინგლისმა 2:0 მოიგო.



REUTERS ბუენოს აირესიდან

ჰოლანდიელებთან მატჩის შემდეგ ბუენოს აირესი პოლპოტის დროინდელ პნომპენს დაემსგავსა: ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. არადა, ხუთი დღის წინ, ინგლისელთა დამარცხების მერე აქ ისეთი ამბავი იყო, დედა შვილს არ აიყვანდა. ეს ერთი გიჟმაჟი, მოსამართლის მოსასხამში გამოწყობილი არგენტინელიღა „დაჯირითობდა“ აირესის მთავარ მოედანზე. პასარელას გასამართლებას ხომ არ უპირებს?

# იციით თუ არა, რომ...

...იტალიის ნაკრები უკანასკნელ სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ტურნირს მხოლოდ მატჩის შემდგომი პენალტების სერიაში დამარცხების შედეგად ტოვებდა. 1990 წელს იტალიაში გამართულ პირველობაზე მასპინძლები ნახევარფინალურ შეხვედრაში არგენტინელებს დაუპირისპირდნენ. ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, ხოლო თერთმეტმეტრიანები სამხრეთამერიკელებმა უკეთესად დაარტყეს 4:3. ოთხი წლის შემდეგ ამერიკაში ჩატარებულ ჩემპიონატზე „სკუადრა აძურამ“ ფინალში გასვლა მოახერხა, მაგრამ იქ მომავალ ჩემპიონებთან — ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან 0:0 დამთავრებული ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ პენალტებით 2:3 დამარცხდა. წლეულს კი, მოგეხსენებათ, იტალიელებს მეოთხედფინალურ მატჩში ფრანგებმა სძლიეს — 0:0 (4:3).

* * *

...საფრანგეთის ნაკრებმა ბოლო სამი მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალში გააღწია. სამფეროვნები 1982 და 1986 წლებში შესაბამისად ესპანეთსა და მექსიკაში ჩატარებულ ჩემპიონატებზე საუკეთესო ოთხ გუნდს შორის ახერხებდნენ მოხვედრას, თუმცა ორივე შემთხვევაში ფინალისკენ გერმანელები ულობავდნენ გზას. 1990 და 1994 წლების პირველობების ფინალურ ეტაპზე ფრანგები საერთოდ ვერ მოხვდნენ, ხოლო წლეულს ისევ ნახევარფინალში არიან. საინტერესოა, რომ საფრანგეთის ნაკრებს არასდროს უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში.

* * *

...იტალიელებმა ბოლო სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე წაგებულ პენალტების სერიებში შესრულებული თხუთმეტი დარტყმიდან თითქმის ნახევარი — შვიდი ვერ გაიტანეს. 1990 წელს არგენტინელ მეკარეს რობერტო დონადონიმ და ალდო სერენამ ვერ აჯობეს. 1994-ში ბრაზილიელი ტაფარელის კარი ფრანკო ზარეზის, დანიელე მასაროსა და რობერტო ბაჯოს დარტყმებს გადაურჩა, ხოლო წლეულს ფრანგთა გოლკიპერ ბარტეზის დამწუხრება დემეტრიო ალბერტინიმ და ლუიჯი დი ბიაჯომ ვერ მოახერხეს.

* * *

...საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატარებულ მერვედფინალურ და მეოთხედფინალურ შეხვედრაში თითქმის ოთხი საათის განმავლობაში ერთადერთი გოლის გატანა შეძლო. პარაგვაელებთან სამფეროვნებმა დამატებით დროში ბლანის მიერ შეგდებული ბურთის წყალობით გაიმარჯვეს 1:0, ხოლო გუშინწინ იტალიელების დამარცხება უგოლო ფრეს შემდეგ მხოლოდ პენალტებით მოახერხეს.

* * *

...ბრაზილიისა და დანიის ნაკრებების მეოთხედფინალური შეხვედრის მეორე წუთზე დანიელთა თავდამსხმელ მარტინ იორგენსენის მიერ შეგდებული გოლი 150-ე აღმოჩნდა იმათგან, რომლებიც წლეულს საფრანგეთში ჩასულ ფეხბურთელებს გაუტანიათ. საგულისხმოა, რომ ეს მაჩვენებელი სარეკორდო გახლავთ და მისი დამყარება ფრანგ ანაც იტალიელ მოთამაშეებს შეეძლოთ, მაგრამ ამ ნაკრებებს შორის გამართული შეხვედრა 0:0 დასრულდა და სანუკვარი გოლი მოგვიანებით დაწყებულ თამაშში მონაწილე დანიელმა იორგენსენმა შეაგდო.

* * *

...საფრანგეთის ნაკრებმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ კარში მხოლოდ ერთი ბურთი მიიღო. ეს გოლი ფრანგთა მეკარე ბარტეზს დანიელმა ფორვარდმა მიქაელ ლაუდრუპმა გაუტანა. მაშინ ჯგუფური ტურნირის უკანასკნელი შეხვედრა ამ გუნდებს შორის ფრანგებმა მოიგეს 2:1 და ლაუდრუპმა თავი პენალტის ზუსტად შესრულებით გამოიჩინა. სხვა მატჩებში კი, როდესაც საფრანგეთის ნაკრებმა რიგრიგობით დაამარცხა სამხრეთ აფრიკის 3:0, საუდეთის 4:0, პარაგვაის 1:0 და იტალიის 0:0 (4:3 პ) ეროვნული გუნდები, ბარტეზი შეუვალი გახლდათ.

* * *

...დანიის ნაკრებს აქამდე არასდროს არ წაეგო ისეთი საერთაშორისო შეხვედრა, რომელშიც ბრაიან ლაუდრუპს თავი ერთხელ მაინც გამოუჩენია. გუშინწინ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხეფინალურ მატჩში ბრაზილიელთა წინააღმდეგ უმცროსმა ლაუდრუპმა ბურთის შეგდება შეძლო და ანგარიში 2:2 გახადა. თუმცა სამხრეთამერიკელმა რივალდომ რამდენიმე წუთში გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა და დანიელთა იმედები დაასამარა.

* * *

...დღევანდლამდე მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ფინალურ ეტაპებზე გამართულ მატჩებში გამარჯვებულის გამოსავლენად თოთხმეტჯერ დაინიშნა პენალტების სერია. აქედან მხოლოდ ორი შემთხვევა იყო ისეთი, როდესაც ფეხბურთელებს ათზე მეტი თერთმეტმეტრიანის შესრულება მოუხდათ. პირველად ეს 1982 წელს დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის ნაკრებების ნახევარფინალურ მატჩში მოხდა. მაშინ გერმანელებმა 5:4 იმარჯვეს. მეორედ ათზე მეტი პენალტი 1994 წელს ამერიკაში რუმინეთისა და შვედეთის ნაკრებების მოთამაშეებმა დაარტყეს. გამარჯვება კი შვედებს დარჩათ — 5:4. უნდა ითქვას, რომ ორჯერვე შემდეგ წრეში გასულის ვინაობა 12 თერთმეტმეტრიანის შესრულების შემდეგ გაირკვა.

* * *

...დანიის ნაკრების მეკარე პეტერ შმაიხელმა ეროვნული რეკორდი დაამყარა. ბრაზილიელებთან პაექრობა გამოცდილი გოლკიპერისთვის მშობლიური გუნდის შემადგენლობაში ჩატარებული 105-ე მატჩი გამოდგა. ამ სარეკორდო მაჩვენებლამდე სულ ცოტა უკლია მეორე ვეტერან მიქაელ ლაუდრუპს. მას ეროვნული ნაკრების ღირსება 104 შეხვედრაში დაუცავს.

* * *

...ბრაზილიის ნაკრებმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ერთ თამაშში მოახერხა საკუთარი კარის მშრალად შენახვა. ეს ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩში მოხდა, რომელშიც სამხრეთამერიკელებმა მაროკოს ეროვნული გუნდი 3:0 დაამარცხეს. სხვა შეხვედრებში კი ბრაზილიელთა კარში სულ ცოტა ერთი გოლი მაინც გადიოდა. საყურადღებოა, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტად თავი სკანდინავიელებმა გამოიჩინეს. ნორვეგიელებმაც და დანიელებმაც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა კარის დალაშქვრა ორ-ორჯერ მოახერხეს.

* * *

...დანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართულ არც ერთ მატჩში არ დაუტოვებია მინდორი უგოლოდ. 1986 წელს მექსიკაში ამ გუნდმა უდიდესი საფეხბურთო ტურნირი პირველად დააქაშნიკა და 4 გამართულ შეხვედრაში 10 გოლის გატანა მოახერხა. დანიელები მეორედ მსოფლიოს ჩემპიონატებზე წლეულს საფრანგეთში გამოჩნდნენ და არც იქ შეირცხვინეს თავი — 5 თამაში ჩაატარეს და მეტოქეთა მეკარეები 9-ჯერ დაამწუხრეს.

# ტელეგერმანელები

გერმანელმა ტელეკომპანიამ ZDF-მა გამოიკვლია, რომ საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებთა მერვედფინალურ შეხვედრას თითქმის 16,5 მილიონმა ადამიანმა უცქირა.

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, ამ ხალხის რაოდენობამ მაქსიმუმს პენალტების სერიის დროს მიაღწია, ან 16,48 მილიონს გაუტოლდა, რაც გერმანელ ტელემაყურებელთა 71,1 პროცენტი ყოფილა.

კიდევ ZDF-ის გამოკვლევამ გამოავლინა, რომ შეხვედრის პირველ ტაიმს უცქერდა 8 მილიონი მაყურებელი, მეორეს კი 11 მილიონი

რაც შეეხება იმავე დღის მეორე შეხვედრას, რომელშიც ერთმანეთს ბრაზილია და დანია დაუპირისპირდნენ, მას 15,7 მილიონმა გერმანელმა უცქირა.

# დაიჭირე, არ გაუშვა!

ფრანგულმა პოლიციამ იუოჩაღა და გერმანიის საზღვარზე დააკავა 19 ცნობილი საფეხბურთო ხულიგანი, რომლებიც გერმანია — ხორვატიის მატჩზე დასაწრებად მიიპარებოდნენ მეზობელ ქვეყანაში. ეს ამბავი ნიუნბერგთან, გერმანიის სამხრეთ დასავლეთით მოხდა.

ზოგიერთმა ხულიგანმა ჯერ შვეიცარიაში ჩასვლა და საფრანგეთში იქედან „გადაძვრომა“ მოიფიქრა, მაგრამ იქაც იცნეს.

საკუთრივ გერმანიაში პოლიცია თამაშის შემდეგ შესაძლო თავაშვებული ზეიმისთვის იყო მზად.

უსაფრთხოების ზომები საგანგებოდ მას მერე გამკაცრდა, რაც 21 ივნისს მავანმა გერმანელმა გადარეულმა ფრანგი პოლიციელი ცემისგან კომაში ჩააგდო.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია

**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული

**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აზნაიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29